

ზმნასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი
თანამედროვე ქართული კრესის ენაში

ზმნა, იგივე როგორც საბელი, ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: ფუძისა და აფიქსებისაგან. ჟუქესთან მისი ლექსიკური მნიშვნელობა დაკავშირებული, ხოლო აფიქსებით გამოხატულია ზმნის ნორფოლოგიური კატეგორიები.

მას შემდეგ, რაც მოცემულია ზმნის ფუძე, ე. ი. ცნობილია ის ლექსიკური მნიშვნელობა, რისი გამოხატვაც გვინდა, ბუნებრივია, ყურადღება მახვილდება ამ შინაარსის გამოხატვის საშუალებებზე, ე. ი. იმ ნორფოლოგიურ საშუალებებზე, რომელთა გამოყენებით შეგვიძლია განოცხატოთ ზმნის ფუძესთან დაკავშირებული ლექსიკური მნიშვნელობის ესა თუ ის ნათესი.

როდესაც ვლაპარაკობთ დარღვევებზე ზმნის გამოყენებისას, მხედველობაში გვაქვს ორი მომენტი: 1) როდესაც წინადადებით გადმოსაცემ შინაარსს არ ეხამება ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა, ე. ი. გვაქვს დარღვევები ზმნის, როგორც სიტყვის, ლექსიკური ერთეულის, შერჩევისას და 2) როდესაც საჭირო შინაარსის გადმოსაცემად არასწორადაა შერჩეული ნორფოლოგიური საშუალებები, ე. ი. გვაქვს დარღვევები ზმნის ფორმის შერჩევისას.

ზმნა წინადადების ღერძი, მისი მთავარი წევრია. ზმნასთანაა დაკავშირებული წინადადების წევრთა უმეტესობა. ამიტომ, როდესაც წინადადებაში ზმნის არასწორ შერჩევაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს მისი კავშირი წინადადების სხვა წევრებთან, გათვალისწინებულია აგრეთვე სათქმელის სპეციფიკა.

როდესაც ერთგვარშემასმენლებიანი შერწყმული, ან კიდევ რთული წინადადება გვაქვს და, ანდენად, წინადადებაში რამდენიმე ზმნა იყრის თავს, შეინიშნება საჭიროება ზმნების მეტ-ნაკლებად ერთგვარი ფორმით წარმოდგენისა.

ცნობილია, რომ ერთგვაროვანი შემასმენლების მიხედვით შერწყნულ წინადადებაში ქვემდებარისა და დამატების ბრუნვის უახლოესი ზმნა-შემასმენელი მართავს. ეს არის წესი. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც წესის ბრმად გამოყენება ირასასურველ სტილებშიც ეფექტს იძლევა. ეს განსაკუთრებით ეხება იმგვარ წინადადებაებს, რომლებშიც ერთგვაროვანი ზმნა-შემასმენლები და ნათესან შეწყობილი პირიანი სახელები ერთმანეთს ძალიან ახლოს არის განლაგებული. მაგალითად, წინადადებაში — „ბევრ ჩვენთაგანს უყვარს და უკლის ყვავილებს“ („პირიმზე“) — აღნიშნული წესის მიხედვით ჩვენთაგანს ბრუნვაში მართულია უახლოესი (უყვარს) ზმნის მიერ, როგორც მისი უახლოესი მორფოლოგიური ობიექტი (MO), ხალა უყვარს ზმნის მორფოლოგიური სუბიექტი (MS — ყვავილებს) მისი უახლოესი (უკლის) ზმნის მიერ, რომლისთვისაც იგი არის MO. მაგრამ აშკარაა, რომ წინადადება ევრაა რიგადად აგებული, ამ და მსგავს შემთხვევებში საჭირო ხდება დამატებით პირის ნაცვალსახელების გამოყენება¹. ამასთან, სასურველია, შეძლებისდაგვარად კიდევ უფრო დავამოკოთ ზმნა-შემასმენლები ერთმანეთს (ამ შემთხვევაში შეიძლებოდა, მაგალითად, გვეთქვა: ... და ვატაცებით უკლის მათ ის რაინე ამგვარი).

ასეთი სურათი რომ მხოლოდ შერწყნულ წინადადებაში ყოფილიყო, მაშინ იგი შერწყმის პრინციპებით აიხსნებოდა, რამდენადაც წინადადების წევრთა შერწყმისათვის საჭიროა არა მხოლოდ წინადადების ერთ წევრთან ორი ან მეტი ერთნაირი წევრის დავამოკობა, არამედ ამ წევრების მეტ-ნაკლები ერთგვაროვნებაც. მაგრამ ამგვარი ფითარება შეინიშნება რთულ დაქვემდებარებულსა და რთულ შეკავშირებულ წინადადებაშიც.

თითქმის ყოველთვის, როდესაც არ მოგვეწონს წინადადებაში შერჩეული ზმნის ესა თუ ის ფორმა, მიზეზად ფორმათა ერთიანობის პრინციპის დარღვევა გვეჩვენება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ წინადადებაში წარმოდგენილი ყველა ზმნა ერთისა და იმავე გვარის, კენვის, ნაკვთის, დროის, რიცხვის, პირის... ფორმა უნდა იყოს, მაგრამ ყოველ წინადადებაში საჭირო ხდება გადმოსაცემი შინაარსის გათვალისწინებით მათი უმრავლესობის ერთგვარობის დაცვა.

ასე მაგალითად: „კოლმეტურნობამ დროზე არ იმართუნა საკუთარი საკვების დამზადებისათვის და 3.900 მანეთის საკვები შეიძინეს“ („ხოფლ. ცხოვრ.“) — წინადადებაში ორი ზმნაა, რომ-

¹ აღნიშნულ შემთხვევაში წინადადების აღნაგობა გაუმწობესდებოდა ასე: ბევრ ჩვენგანს უყვარს ყვავილები და უკლის მათ.

მელთაც ზოგი კატეგორია საერთო აქეთ (დრო, პირი, კილო, ნაკეთი...), ზოგი — განსხვავებული (გვარი, რიცხვი...), მაგრამ განსხვავებულთაგან რიცხვში ერთგვარობის საჭიროება აშკარაა. წინადადებაში ერთ კოლმეურნეობაზეა საუბარი, არსებითი სახელი — კოლმეურნეობაც მხოლოდითა რიცხვშია. ნასთან შეწყობილი ზმნა-შემას-სენელიც მხოლოდითა რიცხვის ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი. ამ მხრივ პირველი ზმნა სწორადია შერჩეული; მაგრამ, რადგანაც მეორე ზმნა (შეიძინეს) აგრეთვე კოლმეურნეობას უკავშირდება, ისიც მხოლოდითა რიცხვის ფორმით უნდა იყოს, ე. ი. აქ საკითხი დგება არა ზმნების ერთმანეთთან შეხამების, არამედ წინადადების იმ წევართან მათი რიცხვში შეთანხმების შესახებ, რომელთაც ორივე არის დაკავშირებული.

ახლა სხვაგვარი შემთხვევა განვიხილოთ:

მკერავენმა ამ წარმატებას პირველ რიგში იმით მიიღწიეს, რომ სოციალისტური შეჯიბრება გაიშალა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ნიშნით (კომ.).

აქ უიგე არ გვაქვს ის საერთო წევრი, რომელთანაც ეს ორი ზმნა-შემასენელი (მიიღწიეს და გაიშალა) იქნებოდა დაკავშირებული. არ გვაქვს და სწორედ ამის საჭიროება იკრძაობა. იგარაუდება, რომ სოციალისტურ შეჯიბრებას მკერავენები ერთმანეთს შორის გაშლიდნენ, ერთმანეთს შეეჯიბრებოდნენ, რის შედეგადაც მათ (მკერავენმა) წარმატებას მიიღწიეს. დამოკიდებულ წინადადებაში სუბიექტის მიჩქმალვა, ვნებითი გვარის ფორმის გამოყენება მოქმედებითი გვარის ზმნის შემდეგ წინადადებას შინაარსობრივად გაუგებარს არა, მაგრამ ერთგვარად გაუმართავს კი ზღის. ეს შეიძლება გამოხატულება იყოს ვნებითური კონსტრუქციების მოჭარბების საერთო ტენდენციისა ქართულში.

აღნიშნულ წინადადებაში ორივე ზმნა მოქმედებითი გვარის ფორმით რომ გვეჩინოდა წარმოდგენილი, უკეთესი იქნებოდა. შდრ. მაგალითად ასეთი წინადადება: მკერავენმა ამ წარმატებას პირველ რიგში იმით მიიღწიეს, რომ სოციალისტური შეჯიბრება გაშალეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ნიშნით.

ანალოგიური ვითარება გვაქვს მრავალ სხვა წინადადებაში.

მაგალითად:

ვადამდე შეესრულდა მიმდინარე წლის ცხრა თვის დავალებანი და ახლი საწარმოთა კოლექტივები იდგნენ 1974 წლისთვის შეჩვეულ ვეგნებს (კომ.).

ცხადია, დავალდებანიც იმავე საწარმოთა კოლექტივებმა შეასრულეს, რომლებიც ისეა გეგმას ადგენენ. ამიტომ უკეთესი იქნებოდა სუბიექტის პირველ წინადადებაში გადატანა და წინადადების აქტიური კონსტრუქციით წარმოდგენა:

საწარმოთა კოლექტივებმა ვადაზღვე შეასრულეს მიმდინარე წლის ცარა თვის დავალდებანი და ისეა 1974 წლისათვის შემხვედრ გეგმებს ადგენენ.

ამით მეორე უბერხელობაც იქნებოდა აცვლებული: პირველი, გახეთში დაბეჭდილი წინადადება, თანწყობილია და ცუდი თანწყობაა, მეორე, გასწორებული, კი შერწყმულია შემასმენლების მიხედვით.

ამავე ტიპისაა ეს წინადადებაც:

ძველა მოდელები მოხსნეს წარმოებიდან, შეიქმნა 35 ახალი მოდელი (კომ.).

წინადადები თანწყობა გამოიწვია სწორედ ზმნების გვარების მიხედვით შეუხამებლობამ. ამ წინადადებაში, ფიქრობთ, თანაბრად შეიძლებოდა გამოგვეყენებინა როგორც აქტიური, ისე პასიური კონსტრუქცია.

გ. ი.: ძველი მოდელები მოიხსნა წარმოებიდან, შეიქმნა 35 ახალი მოდელი.

ან: ძველი მოდელები მოხსნეს წარმოებიდან, შექმნეს 35 ახალი მოდელი.

განსაკუთრებით ცუდად ხედება ყურის ისეთი წინადადებები, რომლებშიც ზმნის პირის ფორმები განსხვავებულია ერთმანეთისაგან, არადა ერთგვარობის საჭიროება აშკარაა.

მიგალითად:

შარშან ქიმიურა კომბინატის კოლექტივმა თავი დაადწია დიდი ხნის ჩინობის და შარშანდელი წლიური გეგმა ვადაზღვე შევასრულეთ (კომ.).

სტატიის ავტორი ქიმიური კომბინატის წარმომადგენელია, ამიტომაც აცხადებს იგი, — გეგმა ვადაზღვე შევასრულეთო. მაგრამ არსებითად ხომ ერთი და იგივე კოლექტივიც ის, ვინც შარშან ჩამორჩენას დააღწია თავი და ის, ვინც შემდეგ გეგმაც შეასრულა. ესაა ქიმიური კომბინატის კოლექტივი. მასში სტატიის ავტორიც შედის; ის ფაქტი, რომ იგი ამ კომბინატში მუშაობს, ამ წინადადებაში უკვე ჩანს სტატიაში, ამიტომ აღარაა საჭირო ზმნის დატვირთვა იმის გამოხატვით. ამრიგად, იქნება: შარშან ქიმიური კომბინატის კოლექ-

ტივმა თავი დააღწია დიდი ხნის ჩამორჩენას და შარშანდელი (ეს შარშანდელია ზედმეტყვითა) წლიური გვემა ვადასდე შეასრულა.

ამგვარივე მაგალითია:

იმ შეხვედრამ ბევრი ფაქტი აღძრა, მსჯელობისათვის უბვი საზრდო მოგვცა (კომ. 11).

ამ წინადადებაშიც თბრობა პირველი პირით მიმდინარეობს; ნათქვამია, რომ იმ შეხვედრამ მსჯელობისათვის უბვი საზრდო ჩვენ მოგვცა; იგულისხმება, რომ ფაქტიც ჩვენ აღგვიძრა. თუ ფაქტის განხილვებმა გვინდა და იმის აღნიშვნა, რომ ფაქტი შარტო ჩვენ კი არა, სხვებსაც აღუძრა, მაშინ, ზუნებრივია, მსჯელობისათვის საზრდოს (რაც თავისთავად ძალზე შეუფერებელი სიტყვათშეხამებაა), სხვებსაც მისცემდა და არა მხოლოდ ჩვენ. მაგრამ, რადგანაც მოგვცა ზნას მოპრეყვრებით ობიექტური III პირის ფორმა არა აქვს (მოგვცა, მოვცათ, მისცა), იძულებული ვხდებით I პირის ფორმით ვიხმართ იგი. მაშინ პირველი ზნაც პირველ პირს მოითხოვს, მაშასადამე იქნება: იმ შეხვედრამ ბევრი ფაქტი აღგვიძრა, მსჯელობისათვის უბვი საზრდო მოგვცა.

სხვა მაგალითი:

ერთი მხრივ, ურიტო როდია შედარებით სუსტი მეტოქის „არჩევა“, რათა სამატრიო გამოცდილება შევიძინო, მაგრამ, მეორე მხრივ, ძლიერი მეტოქე ვაიძულებს უფრო ინტენსიურად ვიმუშაო, რაც პრაქტიკის საინტერესოს ხდას (კომ. 12).

სხვა საკითხია, რომ მთლიანად არ ვარგა აქ შესიტყვება რათა სამატრიო გამოცდილება შევიძინო (იჭობებდა — სამატრიო გამოცდილების შესაძენად), მაგრამ რადგან არის შევიძინო, კითხვის პროცესში ძალაუფლებურად ჩნდება მოლოდინი I პირის ფორმისა: ძლიერი მეტოქე ვაიძულებს უფრო ინტენსიურად ვიმუშაო.

ზმნის პირის არასწორი შერჩევას შემოხვევები უმეტესად გვაქვს სწორედ ამგვარად ვაუმართავ წინადადებებში, სიდაც აზრის ლაკონიურად გადმოცემის პრინციპი დარღვეულია და მრავალსიტყვაობა ჭარბობს.

მაგალითად:

რგოლის წევრთა სახელით პირობას ვაძღვიე ხელშეწყობის განსხვავებულ წესს რგოლმა მოკრა იფოს სულ მეორე 45 ტონაზე მეტი ჩაის წელსეული და შევიბრებაში ვიწვევთ ლანსუთის რაიონის სოფელ ეწრის კოლმეურნეობის კომპეჟშირელ ახილგაზრდობას (კომ. 13).

რადგანაც პირობა რგოლის წევრთა სახელითაა დადებული და თვითონ მთხრობელიც ამ რგოლის წევრია, თხრობა უნდა იყოს პირველი პირის ფორმით. სტატიის ავტორი რგოლის წევრთა სახელით შეჯიბრებაში იწვევს სხვა სოფლის კომკავშირელებს და ამას პირველი პირის ფორმით ამბობს (ვიწვევთ). ამიტომ ასევე პირველი პირის ფორმით უნდა იყოს ის დაპირება, რომ 45 ტონაზე მეტ ჩაის ფოთოლს მოკრეფს მისი რგოლი. ე. ი. უნდა იყოს ასე: რგოლის წევრთა სახელით გპირდებით ხუთწლეულის განმსაზღვრელ წელს მოგკრიფოთ სულ მეტირე 45 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული და შეჯიბრებაში ვიწვევთ ლანჩხუთის რაიონის სოფელ ეწრის კოლმეურნეობის კომკავშირელებს. (კომკავშირელი, იგულისხმება, ისედაც ახალგაზრდაა. ამიტომ კომკავშირელ ახალგაზრდაობას — ზედმეტსიტყვაობაა).

ასევე უსერაული გვეჩვენება ზმნის პირველი პირის ფორმის გამოყენება ისეთ წინადადებაში, რომლებშიც მთხრობელი — პირველი პირი — სუბიექტია და ამავე დროს წინადადებაში დასახელებულია ამ პირის ვინაობა (თახანდებობა, წოდება...) განკერძოების გარეშე.

მაგალითად, წინადადებაში: მშენებლობა რომ დაჩქარებულიყო, ტექნიკური პერსონალი ვშველოდით კალატოზებს, დურგლებს“ („კომ.“). — მთხრობელი პირველი პირია, ტექნიკური პერსონალის წარმომადგენელი. თავისთავად ტექნიკური პერსონალი კი არ არის არც მე (ჩვენ), არც შენ (თქვენ), არის ის (ისინი). ამიტომ იაქმის ტექნიკური პერსონალი შველოდა ანდა ტექნიკური პერსონალი უნდა იქცეს დანართად და ზმნის პირის შესაბამისი ნაცვალსახელი ჩვენ შემოვიყვანოთ წინადადებაში: მშენებლობა რომ დაჩქარებულიყო, ჩვენ, ტექნიკური პერსონალი, ვშველოდით კალატოზებს, დურგლებს.

ამგვარივეა წმინდა წინადადება:

ამაწი დამნაშავე ვართ თვითველი კომუნისტი („კომ.“).

უნდა იყოს: დამნაშავეა თვითველი კომუნისტი. ან: დამნაშავე ვართ ჩვენ, კომუნისტები.

ახლოვიური ვითარება გვაქვს ზოგჯერ მიმართვის დროს, როდესაც ზმნა II პირის ფორმაა, სუბიექტი კი არის (ან იგულისხმება) არა ნაცვალსახელი შენ (თქვენ), არამედ განზოგადებულია. გვაქვს უმთავრესად ზოგადად კაცი, ქალი, ქართველი, აღმართი და სხვ., რაც გრამატიკულად არ შეიძლება შეესაბამებოდეს მეორე სუბიექტურ პირს.

მაგალითად:

ვინ ვინ და ქართველი კაცო, ქართული მიწის მკვლარი, მასი სისხლი და
ხორცი, აწ უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეულ 1973 წელს ეგრე აღვიღად ვერ
დააეციწებებ (სკომ.“).

გვჩვენებს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მიმართვის ობიექტი
გამოყოფილია წინადადებაში, ზმნა კი უკვე III პირის ფორმაა.

მაგალითად:

ჩვენი ჩაღმა ენოუზაახშით შეგრობა ამ გვიანტურ მიტიჩგზე, რათა თქვენ
აზხანგო ბრუნვებ და თქვენს თანამებლებ სსრ კავშირის პარტიისა და
ნათავრობის ხელმძღვანელებს ვაუზიაროს ჩვენი მეგობრული ვრძნობები,
სიყვარული და პატივისცემა დიდი საბჭოთა ხალხსადმი, გმირი პარტიისადმი
(სკომ.“).

ამ შემთხვევაში ზმნამ ანგარიში გაუწია **თანმხლებ პირებს** და
არა მიმართვის ძირითად ობიექტს, მაგრამ წინადადებაიდან ჩანს, რომ
თანმხლები პირებიც მიმართვის დროს იქ იმყოფებიან, ასე რომ,
ერთადერთი სწორი ფორმა იქნებოდა **გავგიზიაროთ**.

ცნობილია, რომ სხვათა სიტყვით თხოობის დროს თუ ზმნას,
რომელიც მთხოობელის მოქმედებას არ გადმოსცემს, I პირის ფორ-
მით დაეცრებებთ, მაშინ მას ბოლოში სხვათა სიტყვის -**შეოქი**, -**თქო**,
-**ო** ნაწილაკებიდან ერთ-ერთი უნდა დავუმატოთ, რამდენიმე შემას-
ნენლის შემთხვევაში ნაწილაკი უკანასკნელს ენატება. შეიძლება იგი
წინადადებას ბოლო შევსრავ (და არა ზმნა-შემასმენელს) მიერთოს.
მაგრამ თუ ნაწილაკს არ გამოვიყენებთ, ზმნა აუცილებლად III პი-
რის ფორმის უნდა იყოს.

მაგალითად:

იგი წერს კედლის გაზეთში, რომ აღრე ცვლაში 15 ვაგონს ვტვირთავ-
დით და ვცლიდით. ახლა ცვლაში 40 ვაგონი გაივლის ჩვენს ხელში... (საბ.
ცხოვრ.“).

უნდა ყოფილიყო: იგი წერს, რომ... **ტვირთავდნენ და ცლიდ-
ნენ**. ახლა ცვლაში 40 ვაგონი გაივლის **მათ** ხელში, ან: იგი წერს,
რომ... **გაივლის ჩვენს ხელში**.

განსაკუთრებით ხშირია დარღვევები დრა-კილოთა ფორმების
შერჩევის დროს. აქ გამოიყოფა დროული თანამიმდევრობის, კილო-
ური ფორმების ხშირების და ზოგიერთი ნაკვეთის არასწორად შერ-
ჩევის საკითხები.

ძალიან ძნელია საერთო ყალიბების გამოჩენვა რთული წინადადების ზმნათა დროული თანამიმდევრობის დასაცავად, მაგრამ ცნობილია, რომ დროს გარემოებითი, ადგილის გარემოებითი, ვითარების გარეწობებითი, პირობითი და დათმობითი დამოკიდებული წინადადებებია შემცველ რთულ დაქვემდებარებულ წინადადებებში დამოკიდებული წინადადების ზმნით გამოხატული მოქმედება უწინარესია მთავარი წინადადების ზმნით გამოხატულ მოქმედებაზე². იგივე წესი გრცელდება აგრეთვე ისეთ წინადადებებზე, რომელთა დამოკიდებული წინადადების ზმნა კავშირებითი კლოს ფორმისაა. სხვა სახის რთულ დაქვემდებარებულ წინადადებებშიც შეინიშნება დამოკიდებული წინადადების ზმნის დროული უწინარესობა (ან ერთდროულობა მიანც) შესაბამისი მთავარი წინადადების ზმნასთან.

თანამედროვე ქართული პრესის ენაში კი მრავლად გვხვდება ასეთი დროული თანამიმდევრობის დარღვევის შემთხვევები.

მაგალითად:

ქალაქის საბრწყველო საწარმოთა მშრომლებს კოლონებს წინ მთ უძღოდ ხეხ ქარხანა „სოხუმზელაფსოსა“ და სავანურჯო ქარხნის, აგრეთვე საგალანტერიო, საქაჯო და საკონტრაქტო დაზრევის... კოლონები, რომელთაც თან მოაქვთ მთ მთერ გამოყვებული პროდუქციის ნიმუშები („კომ.“).

ამ წინადადებას დამოკიდებულსა და მთავარ წინადადებებში აღნიშნული მოქმედება ერთდროულად ხდება, ამიტომ, თუ ჩვენ მკითხველს მოვუთხოვრებთ მის შემდეგ, რაც ეს დემონსტრაცია ჩატარდა, საჭიროა წარსული დროის უარმათა გამოყენება: მიუძღოდნენ — მოაქვნიდათ; ხოლო, თუ წერილი რეპორტაჟის სტილით იწერება, მაშინ ორივე ზმნი აწმყოს ნაკვითი უნდა იყოს წარმოდგენილი: მიუძღვიან — მოაქვთ.

ცნობილია, რომ ზნირად აწმყოს ნაკვითს ზოგადი აწმყოს ვაგება აქვს, ე. ი. უჩვენებს ისეთ მოქმედებას, რომელიც მხოლოდ ახლა კი არ ხდება, არამედ წარსულშიც ხდებოდა, მომავალშიც მოხდება და საერთოდ განმეორებადია, ხანგრძლივია, მრავალგზისია, ე. ი. დაცლილია დროულობის გავებისაგან.

როდესაც რთულ წინადადებაში გამოიყენებულია ასეთი ზოგადი აწმყო, ჩნდება საჭიროება იმისა, რომ მეორე ზმნაც არ იყოს მოკლებული ასეთ ზოგადობას.

² ლ. გეგეჩიძე, დროთა თანამიმდევრობის საკითხისათვის რთულ ქვეწყობილ წინადადებაში, საქანდიდატო ლინგვისტიკა, თბ., 1974, გვ. 74.

მაგალითად, წინადადებაში: „მას შემდეგ, რაც პედაგოგიური მუშაობის პრაქტიკაში დამკვიდრებას იწყებს ექსპერიმენტული კვლევის მეთოდი, შეიქმნა იმის რეალური მოთხოვნილება, რომ პედაგოგიის კლასიკოსების (ეს) დებულება ექსპერიმენტულად ყოფილიყო დასაბუთებული“ (ს.კ. და ცხოვრ.). პირველი ზმნა ზოგადი აწმყოა. იგი აღნიშნავს, რომ ექსპერიმენტული კვლევის მეთოდი დამკვიდრებას ახლა კი არ იწყებს, საუბარს მომენტში, არამედ ეს ცოტა თუ ბევრად ხანგრძლივი პროცესი თითქმის დამთავრებულიც კია (უკვე დამკვიდრებულია), მაგრამ მთავარი ისაა, რომ ქვე დამკვიდრება დაიწყო და შემდეგ შეიქმნა იმის რეალური მოთხოვნილება, რომ... ეს კი მოცემულ წინადადებაში ნაკლებად ჩანს. ამიტომ არ უნდა გადავიყენოთ საუბარი ზოგად ფორმაში: დამკვიდრებას იწყებს (რასაც აჯობებდა მკვიდრდება) — იქმნება, ანდა პირველი ზმნა შევარჩიოთ წარსული დროის ფორმით: დამკვიდრდა.

ამგვარივეა წინადადება:

მან შენიშნა, რომ ნაწარმოებებს ეტყობოდა მხატვრულობის სისუსტე. შეიმჩნევა რითმის დარღვევა (ა.ლ.წ. ვანო.).

ან: ეტყობოდა — შეიმჩნეოდა, ან: ეტყობა — შეიმჩნევა.

წინადადებაში:

ჩვენ კულტურის ყველა დარგში სერთაშორისო კონტაქტების გაფართოების მომხრენი ვართ, მაგრამ კირგიდ გვესმის, რომ ზოგზოგები საზღვარგარეთ იკადრებდნენ იმას, რომ ეს განვითარებადი თანამშრომლობა გამოიყენონ სოციალისტურ წყობილებაზე, საბჭოთა ცხოვრების წესზე იერიშის გასაძლიერებლად (კ.კ.მ.).

გამოყოფილი პირველი ზმნა წარსულ დროს გამოხატავს, მეორე — მომავალს. რღვანაც წინადადებად ჩანს, რომ ამ ვარაუდის წესრულება მომავალშია შესაძლებელი, აშკარად იგრძნობა საჭიროება პირველი ზმნის მომავლის ფორმით წარმოდგენისა: ...იკადრებენ იმას, რომ ეს განვითარებადი თანამშრომლობა გამოიყენონ...

დარღვეულია დროული თანამიმდევრობა შემდეგ წინადადებაშიც:

1943 წელს ა. კუთათილაძე ბრუნდება თბილისში და მას შემდეგ სოციალისტური უკანასკნელ დღეებამდე მისი პოლიტიკა შეიღობა და კავშირები უკანასკნელ თბილისის სამხატვრო აკადემიასთან (კ.კ.მ.).

უნდა ყოფილიყო: დაბრუნდა — დაკავშირებული იყო.

საგანგებოდ გვინდა აღვნიშნოთ დროული თანამიმდევრობის დარღვევის ისეთი შემთხვევები, როდესაც შეზანება სცილდება ერთი წინადადების ფარგლებს.

ჩვენს ეურნალ-გაზეთებში თითქმის წესილია ქცეული, რომ გამოჩენილ პირთა იუბილესთან დაკავშირებული ცნობები (ბიოგრაფიული მონაცემები, ცნობები საზოგადოებრივი თუ მეცნიერული მოღვაწეობის შესახებ და სხვ.), ნეკროლოგები და რეპორტაჟების უმრავლესობა იწერება ისეთი სტილით, რომ სტატიის სრულიად უგულვებელყოფილია დროული თანამიმდევრობა.

მაგალითად:

თბილისის XXV საჯარო პარტიული კონფერენცია გახსნა საქართველოს კომპარტის თბილისის კომიტეტის პირველმა მდიანმა აბ. პ. ვილაშვილმა. ირჩვევენ კონფერენციის ხელმძღვანელ ორგანიზებს (სკომ.).

ან: ამჟამად არის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში და ხელმძღვანელობს ბენტონიტების და ბუნებრივი მინერალური სორბენტების ლაბორატორიას.

ათი წლის ბიჭუნა იძულებულია მიახლოს თავი ახალგორის, ამგამოდ ლენინგორის, დაწყებით სკოლას, დატოვოს ღარიბი გლეხი მამის ოჯახი და სამუშაოს საძებნელად წავადეს ქ. გროზნოში, აქ მიხვილი... სკონდიტრო წარმოების დამხმარე მუშაა (სკომ.).

გარდა იმისა, რომ უკანასკნელ მონაკვეთში შინაარსი ვერც თუ მაინცდამაინც კარგადაა დაკავშირებული წინა აბზაცთან, ზმნის ფორმათა ასეთი შეუთანხმებლობა მკითხველს სტატიის ბოლომდე ჩაკითხვის სურვილს უკარგავს, რადგან ღვაწლმოსილი ადამიანის სინტერესო ცხოვრება უკვე უღიმღამოდ გამოიყურება.

ჩვენი ეურნალ-გაზეთებიდან ამგვარი მონაკვეთების მოყვანა მრავლად შეიძლება.

მიზეზი ხშირად ისევე ზოგადი აწმყოა. მისი ასე ქარბა გამოყენების ნაცვლად კი ალბათ აჯობებდა დრო-კილოთა სხვა ნაკვეთების გამოყენებით (ქართულს კი ისინი მრავლად აქვს) გადმოგვეცა ის რეალური ვითარება, როდესაც მოქმედება მოხდა.

მაგალითად, წინადადებაში:

1939 წელს მიემგზავრება ქ. მოსკოვში, სადაც ირჩევენ მენ-ღელაევის სახელობის ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტად (სკომ.).

მართალია, ორივე ზმნა დრო-კილოთა ერთი ჯგუფისაა, მაგრამ რამდენად ხელოვნურად ეღერს ეს აწმყო.

რატომ ეამბობთ უარს ნამყო ძირითადადზე? — 1930 წელს გაემგზავრა ქ. მოსკოვში, სადაც ჩაირიცხა მენდელეევის სახელობის ტომიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტად.

ნაკუთთა შერჩევისას შეინიშნება სხვაგვარი დარღვევებიც.

მაგალითად:

მა შემოქმედება არ იხმარეს მოლოცვის მოქმედება, მაგრამ იგი მანც არ გატყდა. ბოლოს იძულებული გახდა უფლი გაბოეჩინა (სკოპ.)¹⁾.

აქაც ორი წინადადება გვაქვს. მაგრამ მეორე წინადადება შინაარსობრივად პირველს არ ეთანხმება. თუკი ქურდმა ბოლოს ფული მანც გამოაჩინა, მასზე ვერ ვიტყვი, რომ არ გატყდაო. სხვა საკმეა, თუ იმის თქმა გვინდა, რომ არ უნდოდა გამოტყდომა, ილიარება, ე. ი. იგი არ ტყდებოდა და ბოლოს გამოტყდეს. არ გატყდა — დასრულებული, რეალურად უკვე მომხდარი ფაქტია, ხოლო ტყდებოდა — პროცესი, რომლის შემდეგი საფეხურია უკვე ან გატყდა, ან არ გატყდა. ამიტომ მოცემულ წინადადებაში უნდა იყოს სწორედ არ ტყდებოდა.

ერთნაირი ნაკეთის ფორმებია მოსკოვის განსაკუთრებით შერწყმულ წინადადებაში შეინიშნება. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ძველსა და ახალ ქართულში ერთგვარი შემასმენლები ჩვეულებრივად ერთი ნაკეთის ფორმითა გადაითიციზონდნენ, მაგრამ ზოგჯერ გვხვდება სხვადასხვა ნაკეთის ფორმებიც²⁾.

მაგალითად, განვიხილოთ წინადადება:

დიდი სამოქმედით ვიდებდი თავს მის აღზრდას და აგადმყოფი პაპის პატრონობას; გავუწევდი მათ დამარების ხელს და ყველაფერს გაგაკეთებდი იმისათვის, რომ გაგი სახელოვანი და ნამდვილი საბჭოთა მოქალაქე გაიზარდოს — იწებება დიდი სამამულო ომის ვეტერანი (სკოპ.)³⁾.

აქ რადგანაც არის ჩამოთვლილი იმ ე. წ. ვალდებულებებისა, რასაც ომის ვეტერანი პირებსა მკითხველს, ბუნებრივია, ეს პუნქტები ერთნაირი ფორმით იყოს წარმოდგენილი, ე. ი. თუ ვიდებდი, მაშინ — გავუწვდიდი, გავაკეთებდი; თუ გავუწვდი, გავაკეთებ, მაშინ — ვიდებ.

¹⁾ ი. კონიარია, შერწყმული წინადადება ძველ ქართულში, იქც, XIV, თბ., 1952, გვ. 208; იქვე, შერწყმული წინადადება ახალ ქართულში, ვე, 235.

ამგვარივეა შემდეგი წინადადება:

საქმე ის ვახლავთ, რომ ათი წელი ისე გასულა, ამ ბატარა ქვეყანაში კოლანდაის უოცელწლიური სასურველი სტუდენტები წეროები აღარ ჩაფრენილიყუაებ, შოწამლულ ძაქრა, ავტომობილების გამოსაბოღვეს შორიდებიაა (კლიტ. საქ.).

აღნიშნულ წინადადებაში დამოკიდებული წინადადება შერწყმულია, მისი ზმნა-შენახსენებლები I თურმეობათის ნაკვეთს ითხოვენ: ათი წელი ისე გასულა — წეროები აღარ ჩაფრენილან, ... შორიდებიაან.

კავშირებითი კილოს ფორმათა გამოყენებასთან დაკავშირებით ორი საკითხი იქცევის ყურადღებას: ერთი ის, რომ ზოგჯერ წინადადებაში კილოვარი შინაარსი დაბნელებულია და ნარტებული კავშირებითი კილოს ნაკვეთის ნაცვლად გამოყენებულია თხრობითი კილოს ნაკვეთი, და მეორე ის, რომ ზოგჯერ არასწორადაა არჩეული კავშირებითი კილოს ნაკვეთისაგან რომელიმე.

ასე მაგალითად, წინადადებაში: „ტელევიზია უფრო სწორად კინოს მოკავშირე თანამებრძოლი გახდა, შეიძლება ერთჯერაი მეტოტეც იკოს“ (კომ.). თითქოს იგბრძობა ნეორე ზმნაა აგრეთვე თხრობითი კილოს ფორმით წარმოდგენის საჭიროება: ტელევიზია უფრო სწორად კინოს მოკავშირე და თანამებრძოლი გახდა, შეიძლება ერთაგვარი მეტოტეც არის.

ანდა აქედით ასეთი წინადადება:

ოღონდ კი საქმე გვეთხოვია, უარს არ მიგვიღია (გამარჯვ. გზა.).

საერთოდ შეინიშნება, რომ II თურმეობათის რთულ წინადადებაში ყველაზე მეტად ნამყო უსრულსა და მყოფადის ხოლმეობითს იგუეებს. ამ წინადადებაშიც I თურმეობათის ნაცვლად ხოლმეობათის ნაკვეთის გამოყენება ეკეტება. მით უმეტეს, რომ II თურმეობითი (გვეთხოვია) აქ კავშირებითი კილოს ფუნქციითაა ნახმარი და მასთან კილოს თვალსაზრისით ასევე კავშირებითის ნაკვეთი ავობენს.

ე. ი. გვექნება ასე: ოღონდ კი რამე გვეთხოვია, უარს არ მივაღებდით.

შეხამებას მოითხოვენ ე. წ. ინფინიტიური კონსტრუქციის შემადგენელი ზმნები. თუ მეორე, ე. ი. ძირითადი ზმნა II თურმეობითის ნაკვეთისაა, დამხმარე ზმნა ირინადად ნამყო უსრულის ფორმას მოითხოვს, I კავშირებითის ნაკვეთისა კი — უმეტესად აწმყოს.

მაგალითად:

ყოველივე ეს შეიძლება ჩაგვეთვალო ბუნებრივად, თუ ყველას წევრები მას სათანადო შეფასებას მისცემდნენ („კომ.“).

უკეთესი იქნებოდა: შეიძლებოდა ჩაგვეთვალა.

ან: ეს სანდომიანი ახლგაზრდა — ტაშირიაშვილის ვლდის წევრი სასწავლო წლის ბოლოს ეტყობა ოდნავ გადაღლილად („კომ.“).

უმჯობესი იქნებოდა: ეტყობოდა გადაღლილიყო.

ან: ეს ქალი არ არის ღირსი ატაროს დედობის ტვირთი („კომ.“).

უმჯობესი იქნებოდა: არ არის ღირსი ატარებდეს დედობის ტვირთს.

წინადადებაში: „ხულიგანს მარტო მილიცია უნდა ებრძოლოს?“ („სოფლ. ცხოვრ.“), — იგულისხმება საჭიროება, რომ ზმნა (ებრძოლოს) I კავშირებითის ნაკვეთით იყოს წარმოდგენილი, რადგანაც ამ ნაკვეთის საშუალებით შეიძლება ვადმოვიცეს ისეთი განზოგადებული მოწმდება, რომელსაც მოცემული წინადადება საჭიროებს. ებრძოლოს — მეორე კავშირებითის ნაკვეთი — ამ ზოგადობას შედარებით მოკლებულია. მაშასადამე, აჯობებდა წინადადება ასე გაგვემართა: ხულიგანს მარტო მილიცია უნდა ებრძოდეს?

ზმნის ფორმათა შერჩევისას ანგარიში ყოველ შემთხვევაში დაკავშირებული წინადადების ყველა წევრს. ასე რომ, შერწყმულ ანდართულ წინადადებაში შეიძლება ზმნები ესამებოდნენ ერთმანეთს ყველა საჭირო ნიუანსის მიხედვით, მაგრამ მაინც შეინიშნებოდეს, რომ მათგან რომელსაც ფორმა არ იყოს სწორად შერჩეული.

მაგალითად, წინადადებაში: „ეს დანაშაული შარშან ამხილეს, მაგრამ რაიონის პროკურატურის წყალობით ჯერჯერობით პასუხი არავის მოსთხოვეს“ („კომ.“), — ამხილეს და მოსთხოვეს ზმნების შესამება აბსოლუტური იქნებოდა, თუ არა ზმნისართი ჯერჯერობით. ეს სიტყვა ნიშნავს — ჯერ კიდევ აქამდის, ამჯერად, ჯერხანად; ე. ი. შეუძლებ შეიძლება მოსთხოვონ, აქამდე კი ჯერ არ მოუთხოვიათ. დამოკიდებულ წინადადებაში საჭიროა I თურმეობითი და არა ნამყო ძირითადი.

ნაწილაკების ერთი ნაწილი ზმნის ნაკვეთია არჩევისას ერთგვიან

* აქ და სხვა ანალოგიურ შემთხვევებში განმარტებები ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდანია დამოწმებული, ის. კმპლ, ტ. I—VIII, თბ., 1950—1964.

კანონზომიერებას ამედავნებს. ზოგი ნაწილაკი ზმნისაგან აუცილებლად კავშირებითი კილოს ფორმას შიითხოვს, ზოგი, პირიქით, თბრობითისას.

კავშირებითი კილოს ფორმას მოითხოვენ ზმნისაგან ნაწილაკები: თითქოს, ვიდრე, მანამ, ხანამ¹.

მაგალითად:

„თითქოს გუშინ იყო: გულშემატკვრების ვნებათაღელვა, ცუბ-ცხელვა-ბა სტალინის ტრაბუნებზე“ („კომ.“).

უმჯობესია: თითქოს გუშინ ყოფილიყოს.

თითქოს ირგვლივ ხალხი არც არსებობს, ვინმას, უწმალურ ფრაზებს ასერის („თბილ.“).

უმჯობესია: თითქოს ირგვლივ ხალხი არც არსებობდეს.

ან ბ. ნოზაქსთან ერთად რესტორანში წყიდნენ თვით ხაშურის რაიკოლპერატყის საზოგადოებრივი ევბია გაერთიანების დირექტორი გ. გულაშვილი. მისი მოადგილე ლ. გოხანი, ბულაღტერი ლ. ხიტაძე, საწყობის გამგე მ. ასათიანი და კიდევ რამდენიმე კაცი: ერთა სტყვიით, საზვეების თათქის მთელი შტატი. რთვორც ასლა გინტყვიებზე, თითქოს ეს ამოღენა ხილხი საწყობის ვადაბარებრ-სათვის იყო საჭარო („კომ.“).

მართალია, ამ წინადადებაში იყოს ზმნა აგრეთვე კავშირებითი კილოს ფორმა, მაგრამ შინაარსს სწორედ ისევ III კავშირებითი ეხამება. რაც თვით ნაწილაკ თითქოს ხმარების ძირითადი ასპექტია. განვიხილოთ სხვა შემთხვევა:

ურ ვიტყვი, რომ ისინი ცუდად მოეშზადნენ დოლისათვის („კომ.“).

დაეჭვების წინაარსს კარგად ეკუთება თითქოს ნაწილაკი, რომელიც რთულ დაქვემდებარებულ წინადადებაში კავშირის ფუნქციასაც ასრულებს ხოლმე. რომ კავშირი ძირითადად აკავშირებს ორ წინადადებას და საჭარო დაეჭვების, ვარაუდის გამოხატვის შესაძლებლობას მოკლებულია. ამიტონაც რომ კავშირთან ხმარად თბრობითი კილოს ნაკვირც ბუნებრავია. საილუსტრაციო წინადადებაში რომ კავშირის ხმარებამ განაბირობა ნამყო ძირითადის გამოყენება. მაგრამ თუ რომ კავშირს წეცვლით მართებული თითქოს

¹ ვიდრე, მანამ და ხანამ კავშირებითი კილოს ფორმას იგუებენ ძირითადად იმ შემთხვევებში, როცა ზმნა უბრუნავითი ნაწილაკის გარეშეა.

ნაწილაკათ (რასაც წინადადების შენაარსი მოითხოვს), მაშინვე გაჩნდება მესამე კავშირებითი მოთხოვნილება: ვერ ყიტყვით, თითქოს ისინი ცუდად მომზადებულიყვნენ დოლისათვის.

თხრობითი კილოს ფორმა გამოყენებული კავშირებითი ნაკვლად წინადადებაში:

საჭიროა სამინისტრომ დაუყოვნებლივ გამოქოს კამატალური რემონტისათვის საჭირო თანა, მანამდე, ვიდრე ზნთრის სუსხი დაჰკრავს (კომ.).

ან: ტულუბდვის, როგორც სატყუნია ყველა ერთი საოცრების გარშემო ატეხილი ალიანთი მიწინარდა და ასლა, აღბათ, სავნა ცდა მიჯაწივს, სანამ დაბეჯითებით გავიგებთ მის ხარდვალ მუშებასა და შესაღებლობას (საბ. კომ.).

კომუნისტ გლადნიერ ასათიანს ზევილ ექვა: კოველ დილით, სანამ ნუშაოხას შეუდგება, შევირღების სანუშაო ადგილებს ჩამოვიღოს; გაყვებს, ხომ არაყერი უჭირთ და თუ საჭირო ვასდა, ეხმარება ყველას მსლავერ მანქანას აწყობისა და მონტაჟის საიდუმლო ვაგეზანი (იბნად.).

ვიდრე, სანამ, მანამ ნაწილაკები ამგვარ კონსტრუქციებში მოითხოვენ ნულოვალის კავშირებითი ნაკვთს.

ე. ი. უნდა გექონოდ: ვიდრე დაჰკრავდეს, სანამ გავიგებდეთ, სანამ შეუდგებოდეს.

ნაკვთია შერჩევისას ყველაზე ნეტი დარღვევები III კავშირებითის ხმარებისას გვხვდება, უფრო ზუსტად, იმ შემთხვევებში, როცა III კავშირებითია მოსალოდნელი და არ გვაქვს. — მის ნაკვლად სხვალისგა ნაკვთია გამოყენებული, უმთავრესად II თურმეობითი. ეს იმის გამო ხდება, რომ თანამედროვე ქართულში ამ ნაკვთის ნაკვლად ხმარებისა და მისი შენაარსის თხრობითი კილოს ნაკვთებით გამოცემის ტენდენცია შეინიშნება.

მაგალითად წინადადებაში:

არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმეს უკმაყოფილება გამოეთქვა მისათვის მიულოებელი უღუფის მტხნაყლებობის ან აყვარვიანობის გამო (საბ. მუშ.).

დამოკიდებული წინადადების შენაარსი კავშირებათი კილოსია; ამკარაა, რომ II თურმეობითის ნაკვლიდ (გამოეთქვა) უნდა გექონდეს III კავშირებითი (გამოეთქვას).

როდესაც ზმნის ფორმათა ერთმანეთთან შეხამების შესახებ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ მორფოლოგიური კატეგორიების მიხედვით შეხამება, არამედ ფუქეთა წარმოების მიხედვითაც. ასე მაგ.: შედგენილ შემსამენელთან ისევ შედგენილი სკობს, მარტივ ფუქესთან — მარტივი.

მაგალითად:

გაწეული მუშაობის შედეგებში საინგარიშო ღირვას მეშეკება ჩაწერეს: 1973 წელს მიღებულია 1219 ტონა ყურძენი ნაცვლად 820 ტონისა, წარმოებულია და აახელმწიფოს მიეყიდა 200 ტონა ზოსტნეული ნაცვლად 127 ტონისა („კომ“).

მიუვიდა ნარტივი ფუჟეა, წარმოებულია — შედგენილი. ეს ჩანს მიზეზი მათი ერთმანეთთან ხმარების უხერხულობისა.

აგრეთვე: ის შირველი ექინი ქალი აქო ბაჟუმში, რომელზეც ქართული ლნივერსიტეტი დაამთავრა („ხაქ. ჭალი“).

უმჯობესი იქნებოდა: **შქონდა დამთავრებულია, რადგანაც ამ კონსტრუქციას უფრო სტატიკური ფორმა შეესაბამება ვიდრე დინამიკური.**

წინშენელობა აქვს აგრეთვე ზმნით გამოხატული ნიშნდების მიმდინარეობის ხასიათა, მის ხანგრძლივობას.

მაგალითად, წინადადებაში:

ჩენი ნაქნა მოქმედებს, — ილიმებოდნენ ახალგაზრდები და ხელი დაჰკარეს ტყვიამტრქვევის დედა („კომ“).

ილიმებოდნენ და დაჰკარეს თრივე წარსული დროის ფორმა, მაგრამ, რადგანაც წინადადებაში თითქმის ერთდროული მოქმედებაა გადმოცემული, აჯობებდა მათი ერთი და იმავე ნაკვთით წარმოდგენა: **გაიღიშეს და დაჰკარეს.** მაგრამ, თუკი აუცილებელი იყო ჩვენება იმისა, რომ კი არ **გაიღიშეს**, არამედ **ილიმებოდნენ** საერთოდ — ტყვიამტრქვევზე ხელის დაკარამდე და დაკარის შემდეგ, — ასეთი სათქმელი ერთი წინადადების ფარგლებს უნდა გასცილდეს, თორემ **ილიმებოდნენ და ხელი დაჰკარეს** — მოუხერხებელი დაკავშირება ჩანს.

ქართული ენა აგლუტინაციური ენაა. აგლუტინაციის პრინციპის მიხედვით კი ყოველ გრამატიკულ მნიშვნელობას ცალკე აფიქსი გადმოგვცემს, ყოველ აფიქსს გარკვეული ფუნქცია აქვს. ეს, ცხადია, ზმნის აგებულებას ართულებს და ამავ დროს სიტყვას სემანტიკურად ტვირთავს. ასე მაგალითად, ცალკე აღებული რომელიმე ზნა, ეთქვით, **გამაყეთებინა** — უკვე გვიჩვენებს, რომ წინ მე რა-

* არს. ნაქოზაეა, ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება, კიბლე, 1, თბ., 1950, გვ. 231.

ლატის გაკეთება ან იძულებით შენასრულებინა, ანდა დამეხმარა ამო-
ში, მაშინ, როდესაც მრავალ სხვა ენაზე მნიშვნელობის ეს აბალი
ნიუანსი მთელი ფორმით უნდა გადმოიცეს.

ქართული ზმნის ასეთი ბუნება ზშირად შეცდომების წყაროდ
ხდება. ზოგჯერ ცდილობენ ზმნის ერთი ფორმით გამოხატონ ის
მნიშვნელობებიც, რომლის აღნიშვნა მას იმ კონტექსტში არ შეუძლია.

მაგალითად:

ასეთი აზროვნების ტიპს რუსთაყვლის შემდეგ, მეცბრანტე საფუტნის ქარ-
თულ პოეზიაში პირველად წარმოგვიდგენს ნეტოლზ პარათაშვილი
(იკომ. 4).

წარმოგვიდგენს, წარმოგიდგენო, წარმოუდგენს — ობიექტ-
ტიანი მოქმედებითი გვარის ზმნაა და ამბლ-ში ასეა განმარტებუ-
ლი: 1. აივინებს, წარუდგენს, 2. წარმოუხსახავს, თვალწინ დაუყე-
ნებს, 3. წარმოუდგენას, სპექტაკლს აჩვენებს...

მაგრამ ავტორს ამ წინადადებით იმის თქმა კი არ უნდა, რომ
ნ. პარათაშვილი სხვა პიროვნებას წარმოგიდგენს, გვაქნობს, რისი
ფიქრის საფუძველსაც ზმნის ფორმა იძლევა, არამედ იმისა, რომ
ნ. პარათაშვილი ჩვენთვის წარმოუდგება, ჩვენია, რუსთაყვლის მსგავ-
სია, რუსთაყვლისებურად აზროვნებს.

წარმოადგენს — აქ არის ზმნის მნიშვნელობითაა ნახმარი და
ამიტომ ერთპირიანად გაიანზრება. ხოლო ჩვენ-ის შემოტანამ ზმნაში
იგი უკვე ობიექტიანი გახადა, არის ზმნის მნიშვნელობასთან კავში-
რი გააწყვეტინა და უხეირო ექსპრესემად აქცია.

ამგვარივეა შენდევია წინადადებაც:

პოეტის მიერ აღქმული სამყარო... განსჯის სურვილს გვიპოვებს, დავე-
ფიქრებს (იკომ. 5).

ბადებს ზმნას ერთი ობიექტი აქვს (ხურვილს), მაგრამ ბუნებ-
რივია, იგულისხმება, რომ ეს სურვილი მხოლოდ მკითხველში, მსმე-
ნელში შეიძლება განხდეს, დაიბადოს, ზმნაში მისი (ე. ი. მკითხვე-
ლის) პირად შემოტანის არავითარი საჭიროება არაა. ზმნა რაიტვირ-
თა სათბიქტო გივიით, ირბი ობიექტით, თუმცა ახალი შინაარსი,
სენანტიკურად ახალი მინართება ვერ შეიქმნა.

ისეთი შემთავივებაც გვხვდება, როცა ზმნას რომელიმე კატე-
გორიის ნიშანი აქვს (უშთაურესად ქცევისა) და უნდა პქონდეს კი-
დეც, მაგრამ წინადადებაში არ ჩანს ობიექტი, რომლის გამოც ეს
აფიქსია გაჩენილი.

მაგალითად:

დარჩენილ დროში განსაკუთრებული გულმოდგინებით ვმუშაობ ახალ პროგრამაზე, რომელიც ისეა შედგენილი, რომ წარმოდგენა შეეუქმნათ როგორც ჩვენს ვიზიულ წარსულზე, ისე ღღევიანდღეობაზე („თხილა“).

წინადადებაში არ ჩანს ობიექტი, რომლისთვისაც სუბიექტის მოქმედებაა გამიზნული (აღბით მაყურებელი).

ზმნისწინთა არასწორი გამოყენების ზოგიერთი
უძიოზმინის უმსაზრ

ქართული ზმნის აგებულებაში ზმნისწინს განსაკუთრებული როლი უნიჭება.

ზმნისწინებია ორი რიგის არსებობა ზმნაში ჩვენი ენის ერთერთი საყურადღებო თავისებურებაა. ის, რაც ქართულში რთული ზმნისწინებით გადმოიცემა, მრავალ სხვა ენაში მისი ზმნისწინით გადმოიცემა შეუიღებელია¹.

ზმნისწინს ქართულში ოთხი ფუნქცია აქვს:

- ა) აღნიშნავს მიმართულებას და ამასთანავე ერთად
- ბ) აღნიშნავს ორიენტაციას,
- გ) სრული სახით წარმოგვიდგენს მოქმედებას,
- დ) აწარმოებს სრულიად ახალ ზმნას².

ზმნისწინთა ანგეარი მრავალფუნქციურობის გამო ზმნისწინთა გამოყენებისას დარღვევების რასდენიმე ჯგუფი ჩნდება.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა ისეთი დარღვევები ზმნისწინთა გამოყენებისას, როდესაც არეულია იქითა და აქეთა მიმართულების გამოხატვა.

ცნობილია, რომ იქითა მიმართულებაში იგულისხნება მოქმედების მიმართულება მოუბრისგან იქითა, ხოლო აქეთა მიმართულება აღნიშნავს მოქმედების მიმართულებას მოუბრისაკენ. აქეთა მიმართულების ზმნისწინები აგებულებითა რთული ზმნისწინებია. გამოინაკლისია მხოლოდ მო-. სწორედ მარტივ ზმნისწინებზე მისი დართვით იწარმოება რთული.

¹ ა. მარტირთისოვი, ზმნისწინების შედგენილობა და მათი პირველადი ფუნქციები ქართულში, იცე, V, 1953, გვ. 27.

² ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფურელები, თბ., 1973, გვ. 239.

პრესის ენაში ყოველთვის არაა სწორად გადმოცემული ზნით გამოხატული მოქმედების მიმართულეა მოუბრის ადვალსამყოფელის გათვალისწინებით. მაგალითად, წინადადებაში:

დარცხენილი რეფერენტი მათემატიკის ინსტიტუტში აღარ გამოხეილია, მეგობარი გამოგზავნა და თავის ნივთები მას წაჰმოაღებინა (ციხე.“).

გამოჩენილა-ზმნა ობთნიციური ფორმის უქონლობის გამო არ გამოხატავს რაიმე მიმართულებას (**გაჩენილა** — ლეგაქუროდ უამე სულ სხვა ერთეულია), მაგრამ **გამოგზავნა-ზმნას** ასეთი ობთნიციური ფორმა აქვს — **გაგზავნა**. მეგობარი **გამოგზავნა** (ინსტიტუტში) — უკვე ნიუთითებს, რომ მთხრობელი ინსტიტუტში იმყოფება ან იმყოფებოდა იმ დროს, როცა რეფერენტმა მეგობარი გაგზავნა. ამიტომ მომდევნო ზმნაშიც უნდა იყოს ასახული მთხრობელის სწორედ იგივე მდგომარეობა; **წამოაღებინა** (ინსტიტუტიდან) ნიშნავს, რომ მთხრობელი ინსტიტუტში არ არის, იგი იქაა (ან იყო), სადაც ნივთები ნიიტანეს; საშირო კა იყო მიმართულეა აღნიშნულიყო ინსტიტუტიდან იქით: **წააღებინა**.

ასევე წინადადებაში:

განწარებული დათვი მასკენ წამობობდა (საქ. ბუნ.“)

მთხრობელი რომ მასთან ერთად ყოფილიყო, ეხსკენაც დათვი წამობოდა, მაშინ მართებული იქნებოდა **წამობობდა** ფორმა, მაგრამ, რადგანაც სტატიიში ეს ასე არაა აღწერილი, უნდა ყოფილიყო **წაბობდა**.

იგრუნვე ამ წინადადებაში:

ვ. თორბის ბრეადამ... ელდ ბუღეა იკისა მარხეულია რაიონის იმირის კარებიდან შეუფერხებლად გადაზიდოს ობილისის მშენებლობებზე ანერტული მასალები (საბილ.“)

უნდა იყოს: **გადმოზიდოს**.

როდესაც მთხრობელი პირველი პირია და მოქმედება მისკენაა მიმართული, ნუნებრივია, აქეთა მიმართულებას ზმნასწინები უნდა იყოს განოყენებული. ამიტომ წინადადებაში:

... ტირილმა დილას ტრაქტორი გადამაბარა და წაიდა (ციხე.“)

უნდა იყოს: **გადმომაბარა**.

ზმნისწინთა ხმარების წესი მიმღებებშიც დაარღვეულია. მაგალითად:

მართო ბატონად სამი თვისზე მეტი კაცი იყო ჩამოსულნი საქართველო-
დან ჩამოსულნი განსაკუთრებით კეთილხელად მივიღეს პარტიის საქა-
ლაქო კომიტეტში („კომ.“).

ამ წინადადებებში მოსკოვში ერთ-ერთი დიდი შეკრების შთა-
ბეჭდილებებზეა ლაპარაკი. წერალი მოსკოვიდან კი არაა გამოგზავ-
ნილა, თბილისში ჩამოსვლის შემდეგაა გამოჩნვეიებული. ანტიკომ
უნდა გვეკონოდა ჩახული, ჩახულნი.

ზმნისწინთა გამოყენებისას დაარღვევების მეორე ჯგუფს გმნის
უზმნისწინთ ფორმებისათვის უპირატესობის მიცემა შაშინ, როცა
ზმნისწინიანები უფრო მართებულია. ამ რაგის წინააღმდეგობებს
ქმნის უსრული ასპექტის აღნიშვნის სურვილი, ცნობილია, რომ
ზმნისწინი გამოსატყვევს ზმნით გაღმოსცემული მოქმედების სრულ სა-
სესს, სრულ ასპექტს, ხოლო უზმნისწინო — უსრულს. მაგრამ ასპექ-
ტის აღნიშვნაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ, თუკი ობო-
ნიციური წყვილები გვაქვს; ზმნები, რომლებიც საერთოდ მხოლოდ
ზმნისწინით იხმარებიან ახლა, პირიქით, მხოლოდ უზმნისწინოდ, პი-
რობითად გამოხატავენ (ან სულ არ გამოხატავენ) რომელიმე ას-
პექტს. ასპექტის გაგება არა აქვთ აგრეთვე ატატორი ზმნებს. წინა-
აღმდეგობები იქმნება აგრეთვე დრო-კილოთა აწყოს ჯგუფში, რო-
დესაც უზმნისწინო ფორმა ვერ გამოხატავს იმ მიუანას, რომელიც
შესაბამის ზმნისწინიან ფორმას აქვს, ზმნისწინიანი ფორმა კი უკვე
მოქალაქი დროის ფორმაა.

მაგალითად. წინადადებაში:

აი, სსსპარდლოზე ირჩევი ვიზოდი, როცა სავაზოდო კამისის წვერი სა-
კეთორი ხელო ააწორებს აბატორანტის წვერის სიმშროს და ოქვებს
იმას, რომ ორიანს ნაცელად მის უწერენ ხეოიანა („კომ.“).

ამ ისედაც უვარგისი წინადადებით ავტორს ატრს თქვას, რომ
გამსწორებელმა უბრალოდ კი არ გაასწორა (შეაფასა) ნაწერი, არა-
მედ შეცდომები გადაუსწორა ანტიურაენტს; გაასწორა და ჩაახწო-
რა ლექსიკურად თბი სხვადასხვა ზმნაა, რომელთაც აწყომში საერ-
თო ფორმა აქვთ — ახწორებს. რადგანაც წინადადებას აბუნდოვა-
ნებს სიზიარო ფორმა, სვობლი ავტორი მორიდებოდა აწყოს ნაცვთის
გამოყენებას. ივანე სათქმელი შეიძლება იყოს ძირითადის სა-
შუალებით გადნოეცა. ამ შემთხვევაში აღნიშნული უპერსხლობა

შთისპობოდა (სხვათა შორის, წინადადებაც უკეთ გაიმართებოდა): სასამართლოზე გაიჩნა ეპიზოდი იმის შესახებ, რომ სავაშლიკო კომისიამ წიგნი საყოთარი ხელთ ჩაახწორა აბიტურიენტის წერილი ნამუშევარი და ამით მიადრწია იმას, რომ ორიანის ნაცვლად მას დაუწერეს ხუთიანი.

სახავს ზმნა საშუარო ფორმა აწმყოს ნაკეთში ზმნებისათვის დასახავს, გამოხახავს, ჩახახავს.

მაგალითად, წინადადებებში:

სელმწერილო დოკუმენტები სახავენ საყოფელთაო და სრული განიარღების წინსვლის პერსპექტივებს („გამარჯვ. დროში“); კრებულ... მიღწევებსა და ჩრდილოვან მხარეებს რომ ახალიზებდნენ, უპირველეს ყოვლისა ნაკლოვანებითა დიდებუა გზებს სახავენენ („სოფლ. ცხოვრ.“)

— სახავს არის დასახავს ზმნის აწმყოს ფორმა.

მაგრამ მისი ხმარება სახავს (=სახეებში წარმოვედგენს; გამოხატავს, ვადმოსცემს) ზმნის ნაცვლად აწმყოში, ე. ი. იმ ეარადლით, რომ სახავს აწმყოა, სახავს კი მისი მომავლის ფორმაა, არაა მართებული, რადგანაც სახავს ზმნის თავკიდური ა ზმნისწინი კი არ არის, არამედ ქცევის ნიშანია. ამ თვალსაზრისით ეს ფორმა იმავე რიგისაა, რაც სახავს, უსახავს ფორმები და არა დასახავს, გამოსახავს და ა. შ. მაგარი ფორმები, ე. ი. წინადადებაში „სოფელში შეიქმნა მეგობრობის მუზეუმი, რომლის ექსპონატები მწერმეტყველურად სახავენ ჩვენი სამშობლოს ხალხთა დიად ურღვევ მეგობრობას“ („კომ.“). — უნდა იყოს: სახავენ.

ნამყო ძირითადის ნაკეთის უზმნისწინო ფორმა შესაბამისი ზმნისწინიანი ფორმის ნაცვლად მხოლოდ ესრული ასპექტის აღსანიშნავად იხმარება. მაგრამ, თუ ასპექტია ვაგება ნაინც რჩება, უპირატესობას აღბათ ზმნისწინიანი ფორმა ინარჩუნებს.

მაგალითად, წინადადებაში:

კუბის რეკლუტია, რომელმაც დააგვირგინა აქვენი ხალხის საუფროვანი ზრდილა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, შეეს კუბის კონტრეტულმა პირობებმა („კომ.“).

უნდა იყოს: წარმოშვა.

ასევე:

გრაფიკო ვერ ვუხერხეთ და მილიციაში უნდა დავრეკითო („განა.“).

უნდა იყოს: **მოვუბერბეთ.**

ან:

აქ სასტუმროს ნომრებიდან, დღესზე მხარეთებზე წამოწოლილში შეიძლება შეაჩერდნ... თეგზი აქ ი რ ო (კომ.)

უნდა იყოს: **დაიჭირო.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სტატისტიკურ ზმენებს ასპექტის გაგება არა აქვთ, ამდენად ასპექტის გამოხატვის თვალსაზრისით ერთმანეთს ვერ დაუბირაპირდებიან **დიოდეს** და **მოდიოდეს**, როგორც ეს ამ წინადადებით არის აღზნათ გათვალისწინებული: „წკალი რომ შეუფერხებლად დ ი ო დ ე ს“ („ცნ. ფურც.“ — სათაურა).

ასევე:

ეტომინქანა „მოაკვიჩი“ (57—68 გვგ) თვალწვეტილი ქ რ ო დ ა წერეთლის პროსპექტზე („თბილ.“)

უნდა იყოს: **მიქროდა.**

წინადადებაში:

შეუძლია თუ არა მას (ტაქსის შოფერს) მუშაობის დროს სწ ი ო ს თამბაქო („თბილ.“)

— უზნისწინო ფორმა სწიოს მოქმედების განმეორებულობის, უსრული ასპექტის აღსანიშნავად აქვს ავტორს ნახმარი. მაგრამ სწიოს ხელთაწერად ეღერს. უზნისწინიანი ფორმა მოსწიოს ამ შემთხვევაში შინაარსს არ შეცვლიდა, არავინ იფაქრებდა, თითქოს აქ ავტორი მხოლოდ ერთხელ მოწევას გულისხმობდეს. მაგრამ უფრო უკეთესი იქნებოდა, თუ II კავშირებითის ნაცვლად გამოვიყენებდით I კავშირებითს (ეწეოდეს), რომელსაც ამგვარი განზოგადების უნარი მეტიად აქვს, ე. ი.: უფლება აქვს თუ არა ტაქსის შოფერს, მუშაობის დროს ეწეოდეს თამბაქოს.

აწმყოსა და ნყოფადის ვგუფის ზმენები ერთმანეთისაგან ბშირად მხოლოდ უზნისწინით გამსხვედებიან. ზოგადობის აღნიშვნის თვალსაზრისით აწმყოს კავშირებითის საშუალებით გაღმრიცემა ისეთი მოქმედება, რომელიც საერთოდ ბუნებრივია ანდა ნრავალგზისია, ხოლო ნყოფადის კავშირებითის საშუალებით ასეთი ზოგადობა მხოლოდ აწმყოს შენდევ, მომავალში იგულისხმება. ასე მაგალითად, ამ წინადადების მიხედვით: „სამწუხაროდ, არა გვაქვს ერთიანი ორგანიზაცია, რომელიც თვალყურს ადევნებდეს და კ რ ძ ე ლ ა ე დ ე ს მალაზიის ვიტრინებში მზატვრულად არასრულფასოვანი ნაკე-

თონების გამოჩენას“ („საბჭ. ხელოვნ.“), — ჩანს, რომ ორგანიზაცია, რომელიც კონტრალს ვაუწყებდა მიაღწიოს ვიტრანებში მხატვრულად არაპარულტასოვანი ნაკეთობების გამოჩენას, ჭრჭერობით არ არსებობს, მაგრამ ავტორის აზრით, სასურველია მომავალში მისი შექმნა. ამიტომ განიორიცილება სასურველი მოქმედების გადმოცემა აწმყოს კავშირებით: ნაკვთათ, რომელიც ვადმოსცემს ჩვეულებრივ, დროისაგან დაკლილ მოქმედებას. ამ წინადადებაში უნდა გვქონოდნოდა წყობადის კავშირებითი, რომელიც ვადმოსცემდა მომავალში სასურველ, სისტემატურ, მრავალჯნის განმეორებად მოქმედებას: გაადვენებლეს, აკრძალავდეს. აქვე აღვნიშნავთ, რომ თანამედროვე ქართულში მყოფადის კავშირებითის ნაცვლად ზშირად განიორიცილება მყოფადის ზოლმეობითი. რიგ შემთხვევებში იგი ნორმალა ქიეული. მოცნეულ წინადადებაშიც ამგვარი ვითარებაა. ე. ი. წინადადება უკეთ ასე ვანიართებოდა: სამწუხაროდ, არა ვეაქეს ერთიანი ორგანიზაცია, რომელიც თვალყურს გაადვენებდა და აკრძალავდა მიაღწიის ეიტრინებში მხატვრულად არაპარულტასოვანი ნაკეთობების გამოჩენას.

სხვადასხვა ზმნისწინიანი ზმნები ერთმანეთისაგან ლექსიკური მნიშვნელობით ზშირად ძლიერ განსხვავდებიან. ამიტომ ზმნისწინთა გამოყენებისას ამ მომენტის ვათვალისწინება განსაკუთრებითაა საქირი.

გაშენება და აშენება სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობის სიტყვებია.

აშენება არის სახელი **ააშენებს** ზმნის მოქმედებისა. მისი მნიშვნელობებია: 1. აგება (საპირისა, დაქციევი, დანგრევი, მოშლა); 2. ვადატ, შექმნა, დაფუძნება; 3. ვადატ, სიკეთეში ჩავდებია, ვაბედნიერება, ვამდიდრება, დოვლათით ავსება.

გაშენება სახელია **გააშენებს**, **გააშენდება** ზმნათა მოქმედებისა. მისი მნიშვნელობებია: 1. დარაება (ქილაქისა და მისთ.); 2. დარგვა, ჩაყრა, ვახარება (ხეხილისა, ვაზისა და მისთ.).

მნიშვნელობათა ამგვარ სხვაობას ა- და გა- ზმნისწინები ქმნიან.

განმარტებათა ვათვალისწინებით, სწორადაა ნაბზარი **გაშენება** შემდეგ წინადადებაში: „სადადება ნიადავი მრავალწლიანი ნარგავების ვასაშენებლად“ („შებრდ.“), — რადგანაც აქ ლაპირაკია ნარგავების დარგვაზე, ვახარებაზე; მაგრამ შენობების სხვადასხვა ნაგებობების აგების ნაცვლად **გაშენების** ხმარება უმართებულაა წინადადებაში:

ახალი სამედიცინო ბენტი ვაშენდა ავასკაში („კომ.“).

უნდა იყოს: აშენდა.

მდინარე იმაკარსკი გაშენდა კაპიტალური ხიდი (კომ.).

უნდა იყოს: აშენდა.

სოფლის გულისხმობას ხელმძღვანელებმა ეს თხოვა გულის მიტანეს. გააშენეს მასაღელი საჯდომი ადგილებით („მეხრძ.“).

უნდა იყოს: ააშენეს.

სახელის ნიცემა, წოდება: შერქმევაცა და დარქმევაც. ნიგრამ შერქმევა, სვეულებრივ, ზედმეტ სახელის, მეტსახელის წოდებაზე იხმარება, ხოლო დარქმევა — როდესაც სახელს მარველად აქლავენ.

ამიტომ დარქმევს ზნა უნდა იყოს შერქმევს ნაცვლად შემდეგ წინადადებაში:

ალხანაშვილს 3 ვაგი შეეძინა ზღვებს შალვა, მერაბ და მურაზ შერქმევს (კომ.).

სრულიად განსხვავებულია მნიშვნელობით დამაგრება და მიმაგრება.

დამაგრება არის სახელი დამაგრებს, დამაგრდება ზნათა მოქმედებისა, — რამეზე მიმაგრება (დაკვრა, დაჭედება, დაკერება...), რამეზე ვაჩერება ისე, რომ არ მოსცილდეს, ზედ გამაგრება.

მიმაგრება არის სახელი მიმაგრებს, მიემაგრება ზნათა მოქმედებისა: — 1. რამეზე მიღება და დამაგრება, — მიკვრა, მიჭედება ოვდატ. რამესთან ან ვინმესთან მჭიდროდ დაკავშირება დიდი ხნით; 2. მომსახურების, დახმარების და მისთ. გასაწყევად მიჩენა; გაბიროვნება; 3. მიწერა აღრიცხვისათვის, სარეგისტრაციოდ.

წინადადებაში: „ორთავე ქალქის ორგანიზაციებზე დამაგრებულთა 80 უბანი... უბნების დამაგრება ორგანიზაციებზე გრძელდება“ („საქ. ბუნ.“). — უნდა იყოს მიმაგრებულია, მიმაგრება, მიმაგრების მეორე მნიშვნელობა ზუსტად ააა, რასაც მოცემული წინადადება მოითხოვს.

ამ ბოლო ხანს შეინიშნება და- ზნისაწინის ნაცვლად მო-, გა- ზნისწინების გამოყენება ისეთ სიტყვებში, რომლებიც ტრადიციულად და- ზნისწინით იხმარებოდნენ.

მაგალითად, დამთავრების ნაცვლად გვაქვს მომთავრება შემდეგ წინადადებაში:

გულხა მზეა სოფლა — ცოტა შეიკადე, ხუ ჩაველ, სანამ უნის წყის მო- გამთავრებო („ახ. კომ.“).

თავლი რომ არ მთავლობო, დღესია გორდელადის ახალგაზრდული რგოლის წევრები ჯედა საჭუშაის მთაწარეებდენ (აბ. კომ.⁴).

დავით გლოვანსა და გივი უსანეთაშვილს მთავარი ნაწილები უკვე მოემათაგრებინათ და ახლა მცირე დეტალზე მუშაობდენ (აბ. კომ.⁴).

დახარჯვის ნაცვლიდ ნახმარია გახარჯვა:

ჩისი ნერვიული სისტემა დაზოგება და ტყუილად არ გაიხარჯება ჩისი ძალღონეც (აბ. კომ.⁴).

არასწორიდაა შერჩეული ზმნისწინა აგრეთვე შეშდეგ წინადადებებში:

სტუმარი იმიტომაც უხარდათ, რომ იყოფენ — მამაბაური თადირიგის გარდა სახელდასტლო სანახაობაც შეგნადდებოდა, რომელმაც ნაქმედს თავთავიანთი „როლები“ წინდაწინ დანაწილებული ექნებოდათ (კომ.⁴).

უშვობესი იქნებოდა: მომზადდებოდა.

პარკის მოწყობის იდეა ჭრ კიდევ 1945 წელს დაიხატა (აბ. ბუნ.⁴).

აჯობებდა: ჩაისახა⁵.

გვი უფრავისზე შემაქვა (ალან. ვანთ.⁴).

აჯობებდა: მიმაქვს.

(იქვი შევითანე, მაგრამ ექვი ვინმეზე მივითანე).

კვირამი შუქი ორბისამი დღე თუ იქნება, სხვა დროს ამორთულია და ლამის სინათლეზე გვიხდება გოფნა (აბ. ცხოვრ.⁴).

აჯობებდა: გამოართულია.

გამორკვა, რომ 25 წლის წინილზე აკლდათ ერთი ამხანაგი უშანგი სიუაშვილი, რომელიც 1959 წელს ტრაგიკულად დაიღუპა (გამარჯვ. დროში⁴).

აჯობებდა: გამოაკლდათ.

ჩა ვიგონეღმა ამ რაღით უქმეღლია, თვისებრივად ახალ სიმაღლეს ააღწია (აბ. ქალი⁴).

⁴ დაისახა უფრო ხშირად ორპირიანად იხმარება, მოქმედებითი გვარის სასუბიექტო გივიის დაორკვა. ჩაისახა — ენებითაღ, ერთპირიანად — ჩახახულ იქნა. ამ წინადადებაში სწორედ ენებითი გვარის შინაარსი იგულისხმება.

უნდა ყოფილიყო: მიადწია.

სანამ საბლში შეტვიდოდეთ, კარვად შეიწმინდეთ დებსაცნელა („სოფლ-
ცხოვრ.“).

აჯობებდა: ვაიწმინდეთ.

თვითველ ვახს თვალი შეავლო, შეეცხვივარულა („სოფლ. ცხოვრ.“).

აჯობებდა: მიეხვივარულა.

და წავადოდა ზმეზი, რომ სახელწოდო ორგანიზაციებში ანაბატოსანი
ადამიანები ზიან („ქიათ. მად.“).

აჯობებდა: გავიდოდა (ე. ი. გავარდებოდა).

ღენა მახარაქემ, ტატანა ხუხუნიშვილმა და სხვებმა ასეული კილოგრამო-
ზით დოთოლი მიაკლეს წლადური გეგმის შესრულებას („კომ. განთ.“).

აჯობებდა: დააკლეს.

საზამთრო სადგომების ამენების შემდეგ აქედან ფები არ მოუცვლილი ვა-
სიღს. ზამთრის აბაღობინადრებებს ხადირიც დაეძალათ („სოფლ. ცხოვრ.“).

აჯობებდა: მიეძალათ.

აქვე შევნიშნავთ, რომ ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან
ზნნისწინთა ზოგიერთი მონაცვლეობა, შენაცვლება დიალექტური
წარმოშობისა შეიძლება იყოს (მაგ., მიაკლეს, წავიდოდა ხმები).

ზმნისწინების დღევანდელი ფორმები ძველ ქართულთან შედარ-
ებით გამარტივებული ფორმებია. როგორც ვიცით, ა- ზნნისწინი
მომდინარეობს აღ- ზმნისწინისაგან, ვა- — ვან- ზმნისწინისაგან,
წა- — წარ- ზმნისწინისაგან და სხვ.

არქაული წარმოების ნაშთები თანამედროვე სიტყვათხმარება-
შიც არის შემორჩენილი, მაგალითად: წარმოადგენა (წარმოადგენს),
გარდაიცვალა, აღწერა (აღწერს), აღმოჩენა (აღმოაჩენს) და სხვ.

საქმიან ლექსიკასა და ტერმინოლოგიაში დღესაც ფართოდ გა-
მოიყენება ვაუმარტივებელი ზნნისწინები.

თანამედროვე პრესის ენაში გაუმარტივებელ ზნნისწინებს ზოგ-
ჯერ ე. წ. ექსპრესიულობის შესაქმნელად, გაზვიადებული სტილით
თხრობის დროს იყენებენ.

მაგალითად, ასეა წინადადებებში:

რა თქმა უნდა, ქართულ ლიტერატურას ესა და განცელო თავისი განვი-
თარების საკმაოდ დიდი პერაოდო („ლიტ. ხაქ.“).

თავისუფლება და აღტაცება დაუცხრობლობით აღისრულდება („ახ.
კომ.“).

ხალხმწერი ამსკანისმეზი და დიალექტური ლექსიკა

პრესის ენაში, მხატვრული ლიტერატურის ენასთან შედარებით, სათქმელის ლაქონიურად გადმოცემას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ლაქონიურობასთან ერთად აუცილებელია თბრობის სიადა-
ვის, გამომსახველობის შენარჩუნება. რა თქმა უნდა, არ ვარგა გამო-
თქმები: მონაწილეობას იღებს, უწევს დახმარებას, ხდება ჩვენება, მიმდინარეობს კრეფა და სხვა მისთანები, როდესაც შეიძლება უბრა-
ლოდ ვთქვათ: მონაწილეობს, ეხმარება, აჩვენებენ, კრეფენ და მისთ., მაგრამ ამ რაგის ზედმეტსტიყვაობის აცდლების სურვილს ზოგჯერ მიყვავარო სიტყვათა ხელოვნურ წარმოებადღე. თუშკა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი პრესის ენაში ხელოვნური სიტყვაწარმოება მიზეზი-მხოლოდ აზრის ლაქონიურად გადმოცემის სურვილი როდი ჩანს. ასეთ წინადადებებში უფრო მეტად იგრძნობა ის, რომ ავტორს სურს შთაბეჭდილება მოახდინოს ემოციურად შეფერული სიტყ-
ვებით.

შენიშნება ისიც, რომ ასეთი ყალბი ექსპრესიული სტილით ხშირად იწერება ის წერილები, რომლებიც ეძღვნება გამოჩენილ ადამიანებს, მნიშვნელოვან თარიღებსა და მოვლენებს — თითქოს ასეთი ემოციური ფორმით ვცდილობთ გამოვხატოთ პატივისცემა და მოწიწება, საყვარული და სიხარული ჩვენი სათქმელის ობიექტიაა თუ სასიამოვნო მოვლენის მიმართ.

ამ ემოციური ეფექტისათვის ავტორები ხშირად მიმართავენ ძველ ქართულს. ძველი ქართული ენის ლექსიკიდან ისეთი სიტყვე-
ბის გამოყენება, რომლებიც თანამედროვე ქართულში აღარ იხმარე-
ბა, ანდა სიტყვის გაფორმება ძველი ქართულის გრამატიკული ნორ-
მების მიხედვით (რაც, როგორც წესი, ზუსტად არაა დაცული) ექს-
პრესიების შექმნის ერთი ყველაზე გავრცელებული ხერხია.

ასე მაგალითად: — „ერთ მშვენიერ დღით, ცოლმა საქაჟის კარი გა-
ნახუნა და რა ნახა — მეფრინველეობის საინკუბატორო სადგურში ნაყრდი და კრუხს მისმული 48 წიწილას (არც მეტი, არც
ნაკლები) კისრები ჰქონდათ დაღრღნილი“ („ივრ. განთ.“). — განაზვნა

ძველ ქართულში ფართოდ გავრცელებული სიტყვაა, ენაცვლება გაადო-ს იმ შემთხვევაში, თუ უახლოესა ობიექტი წარიანი მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაშია. თანამედროვე ქართულში იგი მხოლოდ ზოგჯერ პოეტურ მეტყველებაში თუ გამოჩნდება ხოლმე, ისიც თავის ადგილას, ძველი ქართულის ყალიბის ნიხედვით. საქათმის კართან მისი ჩამარება სასაცილო შთაბეჭდილებას ქმნის.

აგრეთვე შეუფერებელი ჩანს საგაზეთო სტილისთვის **ელტვის, მიეახლა და განვლეთ** ამ წინადადებაში:

ადამიანი ყოველთვის ელტვის ლამაზ ბუნებას, ესთეტაეტი საამოყენებს გვრის ტანაყრილ ტყეებში ზოიდან გადმოშტუხარე ჩანჩქერები, მშვეამე მდღლოება, კარგად მოვლილ ბაღებს, სვერები, დეკორატიული მცენიარები (იერ. განთ.). ნანო უხმოლ მიეახლა ძეგლს, მუხლი მოიყარა და დადუმდა (იერ. განთ.). დაახლოებით 40-50 კმ განვლეთ და ტყის პირას საბადირო სასლა მივადე-ქით (ლიტ. საქ.).

მხოლოდ ლაკონიურობისათვის არ ჩანს შექმნილი **ჩაუქრის** ზმნა შემდეგ წინადადებაში:

სკოლას გვერდით მრავლსმომსწრე მდინარე დოსიე ჩაუქრის (ამონ.).

ავტორის, ალბათ, სურდა ეთქვა, რომ სკოლას სწრაფი მდინარე ჩაუღდის (**ჩაუღდის ჩქარა — ჩაუქრის**) და ამიტომაც ხელოვნურად შექმნა ფორმა **ჩაუქრის**.

ლაკონიურობისათვის არ ჩანს ნაწარმოები აბალი ზმნა აგრეთვე ამ წინადადებაში: „დანისლულ პორიზონტზე მზე ამოღამაზ-და“ (ამონ.). ამა და მსგავს წინადადებებში, რომლებსაც კენჭოთ მოვაცემით, ყველა ხელოვნურად ნაწარმოები ზმნა რამდენიმე სიტყვის შინაარსს იტყვის. ნაყოლისხმემ შესიტყვეებაში გატჩინარებულისა მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვა — ზმნა, ხოლო სახელისაგან სხვა-დასხვავგარო საშუალებით ნაწარმოებია აბალი ზმნა, რომელიც ისარ-ჩუნებს ძირეული სახელის მნიშვნელობას და მას რაიმე მოქმედებაში წარმოგვიადგენს. ამდენად, **ამოღამაზდა** იგივეა, რაც **ღამაზად** ამოვიდა, აღნიშნულ წინადადებაში **ამოღამაზდა**-ს გარკვეული სტი-ლებრივ-ნეატურული ფუნქცია მაისც აქვს, რისი თქმაც გამხლდე-ბოლი სხვა მაგალითებზე:

ცოტა გაეჩხმე ლეთოთ, მარტო ქობებში არ კმაროთ, — მეღმნება ჯემა-ლა (სახ. კომ.).

გავიხსენებოთ — ხმელეთზე გავიდეთ.

ფრიად მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში ქართული სიტყვის თანამედროვე ოსტატი სიყვარულით ათვალსაჩინოებს თავისი სახელოვანი წინაპრის შე-
მოქმედებითი ბუნების იტუმარ პროფესიულ თვისებებს („ლიტ. საქ.“).

ათვალსაჩინოებს — თვალსაჩინოს ხდის.

გ. ლეონიძის ლირიკა დიდა ხანია დაითავისა და შეიყვარა რუსმა შვიტხ-
ვალმა („ლიტ. საქ.“).

დაითავისა — თავისად გაიხადა(?) (თუ შეითვისა?)

ამ ციკლსა ა. კალიხიძე ნეკლეიჩუბა უარსადა თანამედროვე პოეტად, რომ-
ელსაც გაუთავისებია, — თარგანულად გაუთავისებია, — დიდ
წინაპრების დიდი პოეტური მემკვიდრეობა და ასლა უკვე თავისი პოეზიის უკეთეს
გვერდულად გამოცდილებად („ლიტ. საქ.“).

გაუთავისებია — თავისად გაუნდია(?)

წლებულს კონკრეტულად ტრამვაისა და ტროლეიბუსის მარშრუტებზე
მოაწყვეს 40-ზე მეტი რეიდი, გააბილეთთაჩინეს ასახობათ ნაზაერო
(„თბილ.“).

გააბილეთაჩინეს — ბილეთები შეაძენინეს.

...რათა... გააბილეთს ჰაბუცი, გოგონა დაქაღდეს დედად („საშხ.“).

გაშამდეს — მამა გახდეს.

ასევე მსგავსად ზემოთი სემანტიკური დატვირთვა აქვს მიცე-
მული შემდეგ წინადადებებში ხელოვნურად ნაწარმოებ წმინდებს:

ადამიანს საუკეთესო თვისებათა ჩამოთვლაში, როგორც წესი, კანონიერად
გამოთვლილ გეგმულად — შედგება — თავისი სიტყვის ბატონობა („კონს.“).
ვინ უნდა გვუმტკიცებდეს თბილისს ამ დროს ახალგაზრდა პედაგოგს?
(„ახ. კონ.“). ქართულ ენას ღრმა წარსულშივე ინდინტივზე ხელი აქვს აღებული-
წანს, ჩვენი ენის ბუნებისათვის იგი არ ყოფილა ატვირთვადი და აღარც გა-
მომწიფდა („კონს.“). აქა-იქ ყვირელი ბლანტეები ყრია ლექსებს შორის, ლერ-
წმებს. შემოთქმამწამებიათ ირგვლივითი („ახ. კონ.“). საუბროდ
იღვანდა ამ კონკრეტულ ცხოვრებისეულ ფაქტებს, რომლებიც ასლის მოვ-
ტალღებთდა („ახ. კონ.“). თვითონ ავტორი „წინადადებში“ წარმოგვიდგება
ვინაშე ყარბად, ვინც „შეყოფიან გუბს“ შემქმნებია („ლიტ. საქ.“).

ყოველი ენის ლექსიკაში სიტყვათა გაგრძელებულობისა და

ხმარების მიხედვით რამდენიმე ლექსიკური ფენა შეიძლება გამოიყოს: საერთო ხმარებისა, წიგნური, კანცელარული, დიალექტური, სასაუბრო. საერთო ხმარების სიტყვათა ხმარება შეუზღუდავია. ესაა სალიტერატურო ენის ძირითადი ლექსიკური ფონდი, მაგრამ სალიტერატურო ენაში დიალექტური სიტყვებიც (და ფორმებიც) შეიძლება შევკვებდეს, — წიგნურიც, კანცელარულიც, სასაუბროც. ოღონდ მათი ხმარება გამართლებულია მხოლოდ მაშინ, თუ ისინი მოტივირებული არიან, ვარკვევს მათკარული ფუნქცია, მიზანდასახულობა აქვთ. მაგრამ როდესაც ჩვენს ეურნალ-ვაწესებში ვცოთხულობთ აჭენს, დაბრივიწობს, აპიბინებს და მსგავს დიალექტურსა თუ სასაუბრო სიტყვებსა და ფორმებს, ძნელია მათ ხმარებაში რაიმე მიზნობრივის დანახვი.

მაგალითად:

ჩვენს დედაქალაქში ხმოვანი სიგნალი რამ აკრძალულია, ეს ალბათ ყველამ იცის, მაგრამ ზოგიერთი უდიდესი მოღვერი არად დაგიდევთ ამ ამბავს და შუა ქალაქში თავისი სურვილის მიუხედავად აბიპიანებს („თბილ.“). ამ თარღდაც აღამიანის ასაკი რომ შოვაქშიანოთ, იგი სკმაოდ ხანდაზმულ ქალღოსნად წარმოგვიდგება, მაგრამ კაცობრიობა და დრო — მარღვამს ახალღორდა („კომ.“). წინათ ჩვენ სხნავ-საყესეში მხოლოდ ერთი ტრაქტორი დაზობღაედა გასაკოდაეებული ორი გუთინა ამარა, დღეს 2 ტრაქტორი დამბრივიწობის რამდენინე გუთინით („კომ.“). როცა ჩარჩოში მინას აჭენ, ლურამის დასაჭედებლად შეიძლება გამოიყენოს სატხელი ან პრტყელი ქლიბი („პიონ.“). და წაეიდოდა ხმები, რამ სახელმწიფო ორგანიზაციებში არაპიტიოსანი აღამიანები ზიან („ქიათ. ჩად.“). ნახეარა საათით სიღნე დავჯდეთ („კომ.“). სვერში-გრძელ სკამზე ჩამოვჯექით („კომ.“). ბიბები რასა იქშიან („სამშ.“). არ ეციე სხეები ამას როგორ ექშიან, მე კი უხალისოდ ვასრულებ ბავშუთანს დროიდან შემორჩენილ იღუაქებს („თბილ.“).

როგორც იტყვიან, კომენტარები შედმუტია!

მედიცინალოგის თხალსაზრისით არასწორად შარქაუანი
ზრეამის შესახებ

თანამედროვე ქართული პრესის ენაში სიტყვის შერჩევასთან დაკავშირებითა ძირითადად ორი სახის დარღვევები აღინიშნება: პირველი, სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებიდან მოვკერ არასწორად შეირჩევა რომელიმე მათგანი და მეორე, გვხვდება მნიშვნელობის დავიწროებისა თუ გაფართოების გამო სიტყვის არასწორი ხმარების შემთხვევები.

⁹ Работа над словом, ПЖ, М., 1971, стр. 97.

ენა გვიძღვეს საწესდებებს სინონიმური სიტყვებისა და ფრაზე-
ოლოგიური გამოთქმების ჯგუფიდან ამოვიაროთ განსაზღვრული
მომენტისათვის სტილისა თუ მნიშვნელობის მხრივ ყველაზე შესა-
ფერისა. ეურნალისტის ოსტატობა გლიანდება იმითაც, თუ რამდენ-
ხად ზუსტიად და სწორად მიაგნებს იგი საჭირო სიტყვებს¹⁰.

როგორც უნდა ახლოს იყვნენ მნიშვნელობით ერთი რომელიმე
ჯგუფის სინონიმები, როგორც უნდა მრავლად იყვნენ ისინი წარ-
მოდგენილი, თითოეული მათგანი განსხვავდება დანარჩენთაგან სხვა-
დასხვა ნიუანსით.

ესე მავალითად, თხრობის აღსანიშნავად ქართულში რამდენიმე
ზმნა გვაქვს: უთხრა, უამბო, ამცნო, თქვა, მოუყვა და სხვ. თითოეულ
მათგანს გამოყენების საკუთარი სფერო, საკუთარი სპეციფიკა აქვს და
ერთთა შეცვლა მეორით ხშირად არ იძლევა სასურველ ეფექტს.

უამბობს (უამბო, უამბია) — ჭართული ენის განზარტებითი
ლექსიკონის მიხედვით ნიშნავს შემდეგს: მოუყვება, მოუთხრობს,
ეტყვის. მაგ., „გიორგი რომ შინ მივიდა, ყველაფერი უამბო დე-
დას“ (ი. ჭ.).

მოუთხრობს — 1. (მოუთხრო, იყენ. თურმ. უამბია) — მოუყუ-
ბა, უამბობს (წერილობით) გადმოცემს (რამე ამბავს). მაგ.: ერთ
პატარა ლეგენდაში... ვაჟი-ფშაყელა მოუგითხრობს (გ. ჭიქ.).

უთხრა — (აწმყ. იყენ. ეუბნება, მყ. ეტყვის, თურმ. უთქვამს). —
თქვა მის მიმართ, მის გასაგონად, სიტყვიერად გადასცა, აუწყა.

სამივე ზმნის მნიშვნელობა თითქმის ერთმანეთს ფარავს, მაგ-
რამ შეინიშნება, რომ მოუთხრობს (მოუთხრო) არ შეიძლება ვინმე-
რით ეტყვის (უთხრა) ზმნის ნაცვლად და პირაქით. მოუთხრობს —
უფრო ხანგრძლივი პროცესია, ამბის გადმოცემაა, ეტყვას (უთხრა)
კი სიტყვის, წინადადების თქმა არის ამბის შესახებ, ხოლო უამბობს
ერთსაც შეიძლება გადნოსცემდეს და მეორესაც. სწორედ ამიტომ
მოუთხრობს ზმნა III სერიაში იყენებს: უამბობს ზმნის ფორმებს,
ე. ი.: მოუთხრობს (I სერია), მოუთხრო (II სერია) და უამბია (III
სერია).

ასე, წინადადებაში: „კუბელ ამბანავებს ბეგრი უამბიათ
ჩემთვის სამშობლოზე“ („კომ.“) — უამბიას სწორედ თხრობის ში-
ნაარსი აქვს და I-II სერიაში მის ნაცვლად მოუთხრობს, მოუთხრო
აჯობებს, რადგანაც იქ, სადაც გამორიცხულია თქმა, ენა ერიდება
ეტყვის, უთხრა ზმნებს, ე. ი. როდესაც საუბრის, ხანგრძლივი ლა-

¹⁰ Работа над словом, БЖ, М., 1971, стр. 92.

პარაქის, ბაასის გადმოცემა გვინდა, ჩვეულებრივ, ვხმარობთ მოუ-
თხრობს, უამბობს ზმნებს. ეტყვის, უთხრა ზმნების გამოყენება აქ არ
შეიძლება, რადგანაც იგი ამბის მოყოლას კი არ გულისხმობს, არა-
შეღ ცნობის მიწოდებას, ლაპარაკს (ლაპარაკის მომენტს).

ამიტომ წინადადებაში:

ბრწყინის შემდეგ რეკლამაა ჯ. ალექსიძემ გვითხრა, აუ როგორ იქმნე-
ბოდა ეს სექტორი (კომ.).

— ზმნა არ გამოხატავს იმ შინაარსს, რისი თქმაც ავტორს უნ-
და. დ. ალექსიძემ კი არ უთხრა კორესპონდენტს, არამედ მოუთხრო.

აგრეთვე: სოხუმის წარსოვის თქმა რამდენიმე სიტყვით ძნელია („ხამხ.“).

წარსული ერთი და ორი სიტყვა ანდა წინადადება არაა, იგი
ამბავია, რომლის შესახებ შეიძლება მოვუთხროთ ვინმეს.

თქმა არ იხმარება აგრეთვე კითხვითი წინადადების შემდეგ,
რადგან კითხვის დასმის, შეკითხვის მიცემის, კითხვით მიმართვის
აღსანიშნავად გამოიყენება ზმნა ეკითხება (შეეკითხა, შეჰკითხება).
ასე რომ, წინადადებაში — „რატომ? — თქვა პაპა ნიციტან“
(„კომ.“). — უნდა იყოს: ეკითხა პაპა ნიციტან.

ამცნობს ზმნა აგრეთვე თარობის გამომხატველია, მაგრამ გან-
სხვავებით ზემოთ განხილულთაგან, იგი რაიმე ახლის ვაგებინებას-
თან არის დაკავშირებული.

ამცნობს — საშუალებას აძლევს იცოდეს, — აგებინებს, ატყუ-
ბინებს, ამიტომ მისი გამოყენება იქნა წინადადებაში, სადაც არაერთი
შეტყობინება, სიძნელე არაა, არამედ რაიმე ამბის ჩვეულებრივი
თხრობა, — გაუმართლებელია.

მაგალითად:

ჩვენი ბრძოლის ზეგნებს 53 ჰექტარი უჭირავს, — გვიამცნობს ზოია
(„კომ.“).

ამ წინადადებაში უმჯობესი იქნებოდა გამოგვეყენებინა გვიუბ-
ნება.

ე. ი.: ჩვენი ბრძოლის ზეგნებს 53 ჰექტარი უჭირავს, — გვიუბ-
ნება ზოია.

ახვე: დღესაც ამაყად დგას ეს ზრავალი ჭირნახული ძეგლი ჩვენი ქალაქის
ცენტრში და კიდევ რამდენ ხანს დგამება, რითა თარიღიდან თარობს ამ ცნობის სა-
ხელოდან წინაპართა სწორუბოვარი ბრძოლის ამბები („თბილ.“).

უქმობესი იქნებოდა: **თაობიდან თაობას ვადასცეს.**

ვაუმართლებელია აგრეთვე **იძახის ზნის** გამოყენება თბრობის აღსანიშნავად: **იძახის** ნიშნავს დიდი ხმით, ძახილით ამბობს, ყვირის, ამიტომ მისი ხმარება ჩვეულებრივი თბრობის გადმოსაცემად არ შეიძლება.

მაგალითად:

უქმყოფილო მცხოვრებლები იძახიან, ოღონდ ყურადღება მოგვაქციონ, წყლის საძიებო დამცვეები გააკეთონ და მზად ვართ მთარი აქუზათო („თბობ.“).

უნდა ყოფილიყო: **ამბობენ.**

მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებია აგრეთვე **შრომა** და **მუშაობა**, აქედან: **შრომობს** და **მუშაობს**, მაგრამ მათაც გამოყენების თავთავიანთი სფერო აქვთ. პრესის ენაში კი ძალზე ხშირია **შრომის** გამოყენება **მუშაობის** ნაცვლად.

მაგალითად:

მცხენარე მზის მიუხედავად, შაქრის ღერწმის მჭრელები თავდადებით **შრომობენ** პლანტაციებში, შაქარი გარჩნებს შეტუდრჩებლად ამარაგებენ მედლეულით („კომ“). მსანი რეა აცეხს მატაა უცეა ზღობინის მათიდაი **შრომობენ**, დეკემბრია ანგარაში **შრომობენ** კომპლექსური ბრიგადები, რომლებსაც სოციალისტური შრომის გიმრი თათრ ზღობი; ეკაა მესამე, თმარ ბაბობობი, დინატრი პეტროლი უდგანან სათავეში („კომ“). აქ **შრომობენ** ისეთი გამოცდილი მუშენა, როგორც კონუნისტი რევაზ ევბოკლიძე („კომ“). აქ ძირითადად ბათუმთან ჩამოსულს მუშენი **შრომობენ**, კობეკლიძელები კი ასეტეტულობენ („სახ. ვან“). შარზან ეუდად როლი **შრომობს** („გამარჯვ. ვზა“). ანალი ენერჯითი შეუდგნენ **შრომას** („გამარჯვ. დროშა“).

შრომობს ნიშნავს: **შრომის** ეწევა, ნუწობს, ირჯება. მაგალითად: „ფუტკარიც კი მარტო თავისთვის არ **შრომობს** და იღამიანმა როგორ არ უნდა იზრუნოს თავისი მოცესისათვის“ (ი. გოგ.).

მუშაობს — 1. მოქმედებს რისამე შესაქმნელად, ფიზიკურ ან გონებრივ შრომას ეწევა, აკეთებს რასმე. — **შრომობს**. 2. მოქმედებს, თავის დანიშნულებას ასრულებს (იარაღი, მანქანა, დიწესებულება და მისთ.).

განმარტებებიდან ჩანს, რომ **შრომა** უფრო ნოვადი სახელია საქმიანობის, გარჯისა, **მუშაობა** კი პროცესია. **შრომის** ხარჯვა, მიმდინარეობა, ამიტომ დისაბელებულ მაგალითებში ყველგან გამართლებულია **მუშაობს** ზმნა ნაცვლად ზმნიასა **შრომობს**.

წარმოადგენს ზმნას ორი მნიშვნელობა აქვს. იგი, როგორც ორპირიანი ვარდამაქალი ზმნა, ნიშნავს—1. განსახიერებს (სცენაზე) || (წარმოდგენას) უჩვენებს. მაგალითად: „პირველად წარმოადგინეს სამმოქმედებიანი კომედია“ (ილია). 2. იცევა, რაც წარადგენს.

ეს ზმნა რხმარება აგრეთვე ნაკეთთა აწმყოს წყებაში როგორც გარდაუვალი სტატიკური ზმნა. ამ შემთხვევაში იგი ნიშნავს: 1. თავისი ვარდამაქალი მეტად წააგავს. და 2. იცევა, რაც არის. ოღონდ ამ უკანასკნელი მნიშვნელობით იგი იხმარება, ჩვეულებრივ, უარყოფითს წინადადებებში (მაგ.: „ოვეში შვიდი მანეთი და კიდევ სახევაო დიდა არ აფერს წარმოადგენს“ — ჭ. ლომთ.).

უკანასკნელ ხაზს ამ ზმნამ მეტად გაიფართოვა თავისი გამოყენების არე. განსაკუთრებით: ხშირად იგი გამოიყენება არის ზმნის მნიშვნელობით, თლახს არა უარყოფითს წინადადებებში, არამედ წართქმითში.

მაგალითად:

სპორტულ-ტენიჭერი კლუბი საზღვარზღობის პატრიოტული აღზრდის მნიშვნელოვან კერას წარმოადგენს (სალო). მოწვეულთა აკადემიური ჩამორჩენის თავიდან აცილების ერთერთ უმნიშვნელოვანეს დანახებებას სახელმძღვანელოებზე, საერთოდ, წიგნზე მუშაობის დღეებითი წესებისა და ხერხების სწავლება წარმოადგენს (სსკ. და ცხოვრ.). დიდ ინტერესს წარმოადგენდა თავზარზე მოსმენილი ნოხსენებები ავტონატიკა კონტროლსა და კოსმოსტრ. სამართლი მის გამოგენებაზე (სკომ.). დღითიდღე მტკაცდება ჩვენი ქვეყნის ძლიერება, რაც კლახობრივ მტრისადმა უღიგის რისხვას წარმოადგენს (სსკ. და ცხოვრ.). ქაბუკებისა და ქალიწვილების მუშაობა კლასის რევოლუციურ საბრძოლო და შრომით ტრადიციებზე აღზრდის მოქმედ ფორმას წარმოადგენს (სსკ. და ცხოვრ.).

ყველა დასახელებულ წინადადებაში წარმოადგენს ნახმარია არის ზმნის ვაგებით, მაგრამ არა უარყოფითით მნიშვნელობით. უარყოფის აღმნიშვნელი სიტყვის ნაცვლად მასთან მიცემით ბრუნვანი შეწყობილია ნაირნაირი სიტყვები: კერას, რისხვას, ღონისძიებას, ფორმას, ინტერესს... რის შედეგადაც ვიღებთ ვაუმართავ შესიტყვებებს: კლუბი კერას წარმოადგენს, სწავლება ღონისძიებას წარმოადგენს, ძლიერება რისხვას წარმოადგენს, ფორმას წარმოადგენს, მოხსენებები ინტერესს წარმოადგენს. ზმნასთან სენაიტკვლად მხოლოდ ერთი პარია დაკავშირებულია — სახელობითში დასმული სახელი; ზმნა წარმოადგენს მიცენითში დასმულ სახელთან ერთად შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის ფუნქციითა ნახმარი.

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი კი არ შეიძლება მიცემით ბრუნვანი იყოს. განხილულ შესიტყვეებებში შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილის ფუნქციით მიცემითი ბრუნვის აღჭურვის გამო გრამატიკულად არ არის ვადორსებული შედგენილი შემასმენელი. ამდენად, გრამატიკული ფორმა არ ემთხვევა იმ შინაარსს, რისი გამოხატვაც არის საჭირო მოცემულ წინადადებებში. კლუბი კერას წარმოადგენს ნიშნავს კლუბი კერაა, ღონისძიებას სწავლება წარმოადგენს — სწავლება ღონისძიებაა, ძლიერება რისხვას წარმოადგენს — ძლიერება რისხვაა და ა. შ.

წარმოადგენს ზმნის მსგავსად იხმარება აგრეთვე შეადგენს, რომელიც ასევე გარდამავალი ორპირიანი ზმნაა. იგი ნიშნავს: 1. ნაწილაკებისაგან ან ცალკეული ერთეულებისაგან მთელს შექმნის, წარმოქმნის. 2. ჯგუფს ჩამოაყალიბებს, შექმნის, მოაწყობს. 3. შეთხზავს, გამოიმუშავებს, მაგრამ ეს ზმნა ზოგჯერ ამ მნიშვნელობათაგან დაკლილია და იღნიშნავს რაიმეს არსებობას, იხმარება არის ზმნის მნიშვნელობით.

მაგალითად:

იღ. ქეთათელს აქვს საკუთარი ვრცელი და მრავალფეროვანი პოეტური სამყარო. — ისეთი თემატიკური რგალები, რომლებიც მხოლოდ მისი საკუთარი პოეტური ხილის, გასცდეს, წარმოასახეს კლასიკურებს შეადგენს (სკომ. 1). აქედან პირველი ხარისხის ნედლეულმა 75,3 პროცენტი შეადგინა (სკომ. 1).

უკანასკნელ წინადადებაში, მართალია, შეადგინა ორპირიანადია ნახმარი, მაგრამ აქაც ალბათ აჯობებდა: ნედლეული 75,3 პროცენტი.

არ იყო ნოსალოდნელი დადებითი მნიშვნელობით ხმარება ზმნისა ძალუძს.

მათ ძალუძთ ვეხეენონ თანამედროვე დეხბურთი (სკომ. 1).

არ ძალმიძს, არ ძალუძს, არ ძალედვა... ჩვეულებრივი გავრცელებული ფორმებია, ძალუძთ კი — ნაძალიდვობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

აგრეთვე მსარი გამოთქმაა ვერ აუღახს. ბუნებრივია მისი ხმარება კონტექსტებში: საქმეს ვერ აუღახს, სამუშაოს ვერ აუღახს და მისთ. მაგრამ აუღახს ზმნის გამოყენება დადებითი მნიშვნელობით, ე. ი. უარყოფითი ნაწილაკის გარეშე, არაბუნებრივია. ასეა, მაგალითად,

წინადადებაში: „ამ ტექნიკით მექანიზატორები აუდიან მოძალე-
ბულ სამუშაოებს“ (სსოფლ. ცხოვრ.).

რამდენიმე ზმნა, რომლებიც ქართულში ქონების სიმცირეს, ან, უფრო ხშირად, უქონლობას აღნიშნავენ, უარყოფით ნაწილაკთაგან მხოლოდ არ ნაწილაკს იტყუებს, — არ გააჩნია, არ მოეპოვება, არ მოეძვეება, არ აბადია. ეს ზმნები დადებითი შინაარსით იშვიათად იხმარება და ასეც მხოლოდ რა ნაცვალსახელთან ან სიცოცხლის აღმნიშვნელ სიტყვებთან ერთად¹¹. მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში არაშევიათად გვხვდება შემასხვევები, როცა გათვალისწინებული არ არის ამ ზმნების სტილური თავისებურება.

განსაკუთრებით ხშირია დარღვევები გააჩნია ზმნის ამარტბისას. ს. ყაუხჩიშვილი საგანგებოდ მიუთითებდა გააჩნია და აბადია ზმნების სტილური თავისებურების შესახებ, კერძოდ, გააჩნიას შესახებ იგი წერდა: „გააჩნიას“ ხმაურები შეიძლება მხოლოდ უარყოფით წინადადებაში, მაგალითად: „იმის არაფერი გააჩნია“, „არ გააჩნია არაფერი“. თუ რომელსამე წინადადებაში ნახმარია „გააჩნია“ უარყოფითი ნაწილაკის გარეშე, ეს იმის ნიშნავს, რომ წინადადების ინტონაციით მოცემულია უკვე უარყოფითი პასუხი. როდესაც იტყვიან, მაგალითად: „იმის რა გააჩნია?“ — ეს იმის ნიშნავს, რომ „იმის არაფერი არ გააჩნია“. როდესაც იტყვიან „ნეტავი რამე გააჩნდეს!“ — უკვე პასუხად არის მოცემული, რომ მას არაფერი არ გააჩნია“¹². ასეთივე დასკვნა აქვს გამოტანილი ავტორს აბადია ზმნის შესახებ.

აღნიშნული მსგელობის გათვალისწინებით გააჩნია მართებულადაა ნახმარი შემდეგ წინადადებაში:

სულთხნის კოლმეურნეობაში არ გააჩნიათ კვების ნორმები („გამარჯვ.“). ისიც აღსანიშნავია, რომ მას სერბულელი ნაკლოვანებებზე გააჩნია („საბჭ. ხელ.“). გარკვეულ მიწწვევებთან ერთად სარეწველო კომბინატსა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მოსახურების სამმართველოს მუშაობაში გააჩნიათ ნაკლოვანებები („გამარჯვ.“). შენდევ გომარჯვა, რომ სახლში სიბაღბო კონტრთლას ჯგუფის წევრთა სის გარდა არაფერი გააჩნდა, მას არც ერთი საკითხი არ მოუშადა და არ განუხილავს, ყველაფერი თვითღობაზე იყო მიშვებული („კომპ.“). მაგრამ მოადარი მართო ის ხომ არა, გაატანო სასტენკ, შეფარტ დარღულმა და არ განიყენო, თუშეა ზოგიერთ კოლმეურნეობას სასუქები შესახებ დარღულე კი არ გააჩნია („იფრ. განო.“), რუბებს არ

¹¹ ს. ყაუხჩიშვილი, უარყოფითი ნაწილაკები ქართულში და მათი ხმარების სტილური თავისებურებანი, აქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1970, № 2, გვ. 42.

¹² ს. ყაუხჩიშვილი, მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხებისათვის, „ცესარი“, № 6, 1960, გვ. 137.

გაანდობთ ის ფუნქცია, რაც ნამდვილ მწერლობას უხდა გაანდებს (იხილეთ სკოლაში). გერმანელებს მტრეფ სექუნდია II ნახევრამდე არ გაანდობთ წერის პრაქტიკა (იხილეთ სკოლაში). საკანი მხოლოდ მაშინ არის თვითმყოფადი, თუ მას ისეთი რამ გაანდობა, რაც სხვისი განზილების ფარგლებში არ შედის („საბჭ. ხელ“).

თუმცა ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევებშიც, როდესაც გაანია უარყოფითს წინადადებებშია ჩასმარი, ყოველთვის როდღე ქმნის იგი მართებულსა და მოხერხებულ გამოთქმებს. ხშირ შემთხვევაში გაანია აქვს ზმნის მნიშვნელობითაა ნახმარი და მთელ რიგ წინადადებებში უფრო გამართლებული ამ უკანასკნელის გამოყენება ჩნის (ნაკლოვანებები აქვთ, რუნებს არ ჰქონდათ ის ფუნქცია, რაც ნამდვილ მწერლობას უნდა ჰქონდეს და ა. შ.). გაანია ზმნის საცვლად აქვს; მოეპოვება ზმნების სემანტიკა განსაკუთრებით კარვად ეთანადება უკანასკნელი წინადადებების შინაარსს; საკანი მხოლოდ მაშინ არის თვითმყოფადი, თუ მას ისეთი რამ მოეპოვება (აქვს), რაც სხვისი განზილების ფარგლებში არ შედის.

ყოველად გაუმართლებელია გაანის ჩსარება იმ შემთხვევებში, როდესაც იგი წართქმით წინადადებებშია გამოყენებული. ასეთი მაგალითების დაქვბნა კი ჩვენი პრესის ენაში ძალიან მრავლად შეიძლება. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითს:

ციხას სპორტულ დარბაზში ვარჯიშისათვის ყოველდღე აუცილებელია გაანია, არც ბარტხორების ნაკლებობას განიცდის („ღელო“). ვორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის კარი ღიაა ყველა ახალგაზრდისათვის. ვისაც გაანია ცოდნისა და შრომის სურვილი („გამარჯვ.“). ქიმიის ფაკულტეტი უაღრესიტესად გაანია („საბჭ. ხელ“). ახლა უკვე მას შესწავლავს ახალი შენობა გაანია („საბჭ. ხელ“). საბჭოთა კავშირის ტრადიციულად მუსიკოსთა ძლიერი ვეფე გაანია („საბჭ. ხელ“). ამის საშუალება მათ გაანია ტრანსპორტით და ამ საჭმის სპეციალისტებთან („განო“). ზოგიერთ მთვანს საკუთარი საკლავოლოც გაანია („გამარჯვ. დროში“). სახელმძღვანელოს მრავალი დირიგება გაანია („საქ. ბუნ.“). მსკოებს ყველა ბარობა გაანია ამისათვის, რომ თლიშადა მადალ დონეზე ჩაატროს („თხილ“). დვარძლიანი სული გაანია ცილისმწებებელს („ალან. ვანო“). ჩვენი ბიოჩისა და ქალაქის ბიბრტული ორგანიზაციებს საარჩევნო კომპანის მადლოვანნიშნულად ნატარების დიდი გამოცდილება გაანია („მეგრძ.“). კოლმეურნეობას ნიჭრალურ სასუქებთან ერთად დიდი რაოდენობით გაანია ორჯახული სასუქი („გერ. ვანო“). იაკობ ბოლკოშვილს საესეზოთ გაანია ეს ძვირფასი თვისებები („წინსვლა“). მწერლის მხატვრული ოსტატობის კვლევითადი ყურადღების გაპაზვილებას გაანია კიდევ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი მიზეზი („ქველ სკოლაში“). სამსრუთ ამბოციეს ქალაქბილიან ერთადერთთ ზუფროს-ბირეია, რომელსაც მეტრთ გაანია („ღელო“).

ამ წინადადებებში გააჩნია ნაცვლად უნდა გექონდეს აქვს, იმ-
ვითად ზყავს სიტყვები.

სიტყვას გადატანითი ხმარება ყოველი ენის ლექსიკოსთვისაა
დამახასიათებელი. „გადატანითი სიტყვებმარების არსი ისაა, რომ
ბაბლი ობიექტის აღნიშვნისას სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობის
სმარებაც ცოცხალია ენობრივ კოლექტივში, ე. ი. ყოველი გადატან-
ითი ხმარება მოტივირებულია — მის ზურგს უნაგრებს სიტყვის
ნამდვილი მნიშვნელობა, რომელიც ასე უშუალოდ ვერ აიხსნება —
ნისი „მოტივი“ დღეს ხელშესახებად არ ჩანს“¹³. ამავე დროს სიტყ-
ვის მნიშვნელობის ყოველი ცვლა (ე. წ. მნიშვნელობის გაფართოება
და დავიწროება) არსებითად მნიშვნელობის გადატანაა და სხვა არა-
ფერო, რადგან იქ, სადაც ერთი თვალაზრისის მიხედვით მნიშვნე-
ლობის გაფართოებაზე ლაპარაკობენ, ყოველთვის დაიქმნება სხვა
თვალაზრისი, რომელიც მნიშვნელობის დაიწროებას დაიწინაურებს.¹⁴

ზოგიერთი სიტყვის სმირი ხმარება ნისი მნიშვნელობის გაბუნ-
დოვანებას იწვევს. ასეთ შემთხვევებში ძალიან ძნელია მათ გადა-
ტანითი მნიშვნელობით ხმარებაზე ლაპარაკი. ზოგჯერ იმდენიდაა
დაკარგული სიტყვის ძირეული, საკუთარი მნიშვნელობა, რომ ისი-
ნი ლამის დანხმარე სიტყვებს ემსგავსებიან. ასეა, მაგალითად, აწარ-
მოებს (აწარმოებს რეს, ხორცს, კეერცს და რის ალარ...), იღებს,
ამზადებს... ზმნები.

განუცხადავად იხმარება აგრეთვე მოკმედებს, ახასიათებს, განა-
პირობებს... ზმნები.

მოკმედებს ამბულ-ის მიხედვით ნიშნავს: 1. ეწევა რაიმე საქმიან-
ობას, აკეთებს რასმე, — ქმედობს, მოღვაწეობს, იღვწის. 2. გაგ-
ლეხას, ზეგაღლენას ახდენს, — მოკმედებს... || გარკვეულ შედეგს
იძლევა.

მავრამ ეს ზმნა ზმირად პრესის ენაში იხმარება არსებობს, არის
ზმნებისა მნიშვნელობითაც.

მაგალითად:

მეტიკმისან მოქმედებს მდიდარი სიმეცნიერო ბიბლიოთეკა, რომელმაც
დაცულია მიბლიოგრაფიულ მშობობად ქვეული მრავალი წიგნი, უძრხალი და
ვაზეთი („საბჭ. ხელ“).

¹³ ბ. ფოჩხუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974, გვ. 169.

¹⁴ იქვე, ვგ 172.

მოქმედებს = არსებობს, არის

სკოლაში ბევრი სხვადასხვა წრე მოქმედებს (სკ. და ცხოვრ.).

მოქმედებს = მუშაობს, არსებობს

ბრესის ენაში ძალიან ხშირად ირევა დაწარალების, დაზიანებისა და დაშავების მნიშვნელობები.

ქიზლ-ში ეს სიტყვები ასეა განმარტებული: დაწარალება — ზარალის მიყენება, ზარალი...

ზარალი — ქონებრივი დანაკარგი. დანაკლისი (საპირის). მოგება) || დანიკარგი ბრძოლის დროს (ეთცხალი ძალის, საჭურჭლისა და მისთა.) || ოჯახის წევრის გარდაცვალება და მით გამოწვეული დანაკლისი.

ზარალდება — ზიანს აყენებს რამე...

დაშავება — 1. დანაშაულის, ცუდი რისამე ჩადენა, გაფუჭება, წახდენა (საქმიის). 2. ფიზიკური დაზიანება, ტყენა, დასახინჩრება, გახეიბრება.

დაზიანება — 1. ზიანის მიყენება, გაფუჭება, წახდენა. 2. სახელი დაზიანება, დაუზიანდება ზმნათა ნიშნებისა, — რისამე დაავადებით ან სხვა მიზეზით დაშავება, წახდენა (სხეულის რომელიმე ნაწილისა), — მაგ. მხედველობის დაზიანება.

ზიანი — ცუდი რამ, ავი რამ, რაც ვისმე ან რასმე შეემთხვა ან შეამთხვიეს, — ვნება, ზარალი, დანაკლისი.

ზიანდება — ზიანი მოსდის.

როგორც განმარტებიდან ჩანს, დაზიანებისა და დაშავების მნიშვნელობათათვის საერთოა წახდენა, მაგრამ განსხვავება ისაა, რომ სხეულის რომელიმე ნაწილის წახდენა დაავადების ნიშნად, რამე მიზეზით დაშავება, — დაზიანება იქნება, მაგრამ საქმის წახდენა — დაშავება. ამავე დროს, როდესაც ფიზიკურ დაზიანებასთან, დასახინჩრებასთან გვაქვს საქმე, — აგრეთვე დაშავება იქნება. ე. ი. დაზიანება — ორგანული დაავადების შედეგია. დაშავება — გარეგნული ფაქტორების ჩარევით მომქდარი.

გარეგანი ფაქტორების ჩარევით წახდენა დაზიანებაც შეიძლება იყოს, თორღ იმ შემთხვევაში, როდესაც ვნება მოსდის არა ადამიანს, არა სულიერს.

ამიტომ, როდესაც საეტიმოლოგიაში ანდა სხვა ამგვარ კატასტროფაზეა ლაპარაკი, ბუნებრივია, შედეგი დაშავებაა და არა დაზიანება.

ჩვენი პრესის ენაში კი ასეთ შენთხვევებში დაშავებას იშვიათად წააწყდებით.

მაგალითად, დაწინაებება ნახმარი დაშავების ნაცვლად:

არქივებში შემოგვიწახს ცნობა იმ პირველ იტომშემთხვევაზე, როცა იტომშობილმა აღმნიანი დააზიანა („კომ.“).

მისში ევითხლობათ, რომ სთუელ მთისპირეთში (მახარაის რაიონი) ანას წინათ აფეთქებას შედეგად დაზიანდა და საავადმყოფოთში მოყვანეს 10 კაცი („კომ.“).

იტომშობილების კატასტროფის შედეგად მარტო შარშან დაზიანდა 319.544 კაცი („სოფლ. ცხოვრ.“).

კიდევ უფრო გავრცელებულია დაშავების ნაცვლად დაწარალებების ხმარება, რითაც კიდევ უფრო დაშორებულია შინაარსი გამოხატვის ფორმისთან.

დაწარალება მატერიალურ დანაკარგს გულსხმობს და არა უბედურ შემთხვევას, რომელიც აღამიანის ჯანსრთელობასთან, მის ფიზიკურ ტყვიელებთან, მის დამავეებასთან არის დაკავშირებული. ამიტომ, თუ წინადადებაში:

მოპარული ინფურები დაუბრუნდა დაზარალებულ მიმტარაშვილს („გამარჯვ.“).

— დაწარალებული მართებულადია ნახმარი, ამას ვერ ვიტყვივით შემდეგ წინადადებაზე:

ჩელ-იორკის ერთ-ერთ ქუჩაზე მას მანქანა დაეჯახა დაზარალებული, რომელსაც ფეხი ჰქონდა მოტეხილი, საავადმყოფოში მოათავსეს („კომ.“).

ორ ნაბიჯზე იძივნა პირველ დავარდნილი და ნახევრად წყალში ჩაიორული აღამიანი. ზრუსეით გადააბრუნა და წამოყენება სედა, მერამ დაზარალებული სიცოცხლის ხმან-წყალს არ ამკვანებდა („მნათობი“).

ეს შემთხვევა აშკარად დაუდევრობის გიმო მოხდა, ანასთან ბრალი თრევეს — შოფერსაც და დაზარალებულსაც შეძღვოდა („თბილ.“).

გამწარებულმა გოგონ ღვინით ვალებილ შობილადეს მაკრატლია მძიმე ტრილობა მოაყენა ჩარევენა თელას არეში დაზარალებული წულაძე საავადმყოფოში მოათავსეს („ცისკ.“).

დაშავებული პენსიონერი მ. ზღუდოვი ცენტრალურ კლინიკურ საავადმყოფოში წაიყვანეს, მეორე დაზარალებულს კი პოლიკლინიკაში აღმოუჩინეს სამედიცინო დაწარება („თბილ.“).

ერთმანეთში ირევა არა მარტო დაწინაებისა და დაწარალების, ერთი მხრივ, და დაშავების მნიშვნელობები, მეორე მხრივ, არამედ დაწინაებისა და დაწარალებულისაც.

მაგალითად:

ხაშურში ვახს. ზამთრით მარბავენ მიწაში, რათა ყინვან არ დაზარალოს („ისე სკოლაში“).

ყინვამ ვახი შეიძლება დააზიანოს და ამის გამო ვაზნა კარგად ვერ გამოიყენებს ყურძენი. დაპარაკი რომ ყოფილიყო ადამიანზე, მაშინ სწორედ დაზარალება იქნებოდა საჭირო, რადგან შეიძლება ყინვამ ისე გადაუშოს ვაზი, რომ გლეხი მატერიალურად აზარალოს.

ამის გათვალისწინებით მართებულია და გამოყენებული ზარალი წინადადებებში:

დანიარქენ კულტურებში კოლმეტრებთან იზარალო („იერ. განთ.“).

ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ კოლმეტრებთან ზარალით დაიმთავრო გრძელი წელი („იერ. განთ.“).

განაწილება დაყოფასა და დარიგებას, ყველასათვის თავ-თავის წილის მიცემას ნიშნავს, ხოლო განწესება — ამა თუ იმ თანამდებობაზე დანიშვნას, მაგრამ დღეს იშვიათად თუ გაიგონებთ და, მით უმეტეს, წინკითხავთ ხამუშაოზე გამაწესესო. ამ მნიშვნელობით ყველგან განაწილება იხმარება. ასევეა იგი დამკვიდრებული თანამედროვე პრესის, მხატვრული ლატერატურისა თუ ყოველდღიურ სისაუბრო ენაში.

მაგალითად:

იგი ერთ-ერთ რაიონში გაანაწილეს სპორტ-სკოლას დირექტორად („ცის.“).

სამედიცინო ინსტიტუტს შეიღეს წლის წინათ დაეამთავრე. ორი წლით თუშეთში განაწილეს და მუც სიამოვნებით დაეიანხმდა („საქ. ქალი“).

შემდეგ აკარის შალაშვიან სოფელში გაანაწილეს მასწავლებლად („საბ. კომ.“).

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სიღაც გაანაწილებენ, უსათუოდ ან წაჯალ („საბ. განთ.“).

ურვენებს — ავლენს — ამუღვენებს.

ხშირად ირევა აგრეთვე ურვენებს, ავლენს და ამუღვენებს ზმნების მნიშვნელობები და ამ ზმნების ხმარება.

ურვენებს — 1. ანახევებს, შუახედებს, აწვენებს; 2. სანახავად მიუყვანს, გაასინჯებს, ანოწმებინებს; 3. მიაღწევს, მოიპოვებს; 4. ასახავს, წარმოადგენს; 5. გადატ. დაარწმუნებს, გაავებინებს, დაუმტკიცებს; 6. მომხდარის შესახებ ბოუთხრობს (გამომძიებელს, მისამართელს), ჩვენებს აძლევს.

გამოავლენს — დასაწახს, შესამჩნევს ვახდის, — გამოაჩენს, გამოამჟღავნებს, გამოააშკარავებს.

ამჟღავნებს — 1. ამჟღავნებს, გამოაჩენს, ცხადყოფს, მოწმობს. ამჩნევს; 2. ფოტოგრაფ. დასაწახს ხდის, გამოავლენს (ნეგატივზე აღბეჭდილ ვარსაზსულებას).

ამ წინების აღრევის მიზეზი ისაა, რომ სამივესათვის საერთოა თვალსაზრისობა, სიამჟღავნებ; მაგრამ ნიუანსი ამჟღავნებს განსხვავებული აქვთ. უჩვენებენ იმას, რაც მატერიალურად დასაწახს უკვე არსებობს, იგი მითითების მნიშვნელობას უფრო უახლოვდება. **გამოვლენა** კი გულისხმობს, რომ დასაწახს ხდება ის, რაც ერთი შეხედვით არ შეინჩნეოდა, დამალული იყო. ამიტომ გამოვლენა გამოკვლევის მნიშვნელობასაც უახლოვდება, რაც შეცდომის წყაროდ ხდება ზოგჯერ.

მაგალითად:

საჭიროა, ყველა ვინმეზეთ ამ ხოვოს, რომ ჩვენში შემოსულის შემთხვევაში სწრაფად გამოვლენოთ და მოესწათ (იხ. ცხოვრ.).

გამოვაკელით = გამოვაფლინით

გაუთხრა ბევრი ახალგაზრდა და მივიწყებული მწერალი გამოამჟღავნა („სოფლ. ცხოვრ.“).

უნდა იყოს: **გამოავლინა**

გამოავლენს და **გამოაჩენს** ზმნების მნიშვნელობათა სრული გათვალისწინებით არასწორად მიგვაჩნდა უჩვენებს ზმნის ხმარება შემდეგ წინადადებებში:

მოსწავლე უჩვენებს პროლეტარული ინტერაკციონალიზმის ცოდნას (იხ. სკოლაში“). ვესაბერამენტული კლასის მოსწავლეებმა საკითხების ღრმა გაგება და ფართო წარმოდგენა უჩვენებს (იხ. სკოლაში“).

უნდა იყოს: **გამოავლენს, გამოავლინეს** | **გამოამჟღავნებს**.

მორჩება — დაამთავრებს.

მორჩება — 1. განიკურნება, განოჯანმრთელდება, 2. მოლოდინდება, მოიმშობიარებს, 3. თავს დააღწევს (ტანჯას, განსაცდელს, დავიდარბას) — გადარჩება. || მოამთავრებს, გაათავებს, დაამთავრებს, 5. მოთავდება. გათავდება, დამთავრდება, დასრულდება.

დაამთავრებს — მათავებს, დაასრულებს, დააბოლოებს.

როგორც ვხედავთ, მორჩება ზმნას დაამთავრებს ზმნის მნიშვნელობაც აქვს, ამდენად ისინი სიანონიმური მნიშვნელობის სიტყვებია, მაგრამ მორჩება ზმნას სხვა მრავალი მნიშვნელობაც აქვს, ამიტომ მისი ხმარება დაამთავრებს ზმნის მნიშვნელობით სასურველი არაა. ამის მიხედვით უნდა ყოფილიყო დაამთავრა, დაამთავრეს, დაამთავრებენ ზმნები ნაცვლად მორჩა, მორჩენ, მორჩებიან ზმნებისა შემდეგ წინადადებებში:

გაიბრუნებულე ჩაი ნაცვთის დამუშავებს პირველი მორჩა... მოწინავე შეჩავე ნათლა ღომინაჲ (კვანთა“). კლმეღრნეთი ვაღაწყვეტილებაა ზოგლე ღრონი მორჩენენ ვახსა და ბროწელის რვეის სამუშაოებს (კვანთა“). ამ ნამუშაოს ცხისელორში შემეიდროებულ ვადებში მორჩებიან (კვანთა“).

სინონიმური მნიშვნელობის სიტყვებია აგრეთვე უძღვება და ხელმძღვანელობს.

უძღვება — 1. ხელმძღვანელობს, მეთაურობს; 2. აუღის, თავს არაიწვეს, უძღებს.

ხელმძღვანელობს — 1. მეთაურობს, წარმართავს (რაიმე საქმიანობას), 2. თავის მოქმედების დროს სახელმძღვანელოდ იყენებს (რაიმე აზრს, პრინციპს).

მნიშვნელობებით ეს ორი ზმნა თითქმის ფარავს ერთმანეთს, მაგრამ როდესაც არა საქმიანობის, არამედ აღნიშნა ჯგუფის თავკაცობაზეა ლაპარაკი, ენა ირჩევს ხელმძღვანელობს ზმნას.

თანამედროვე პრესის ენაში კი ხშირად გვაქვს უძღვება ნაცვლად ხელმძღვანელობს ზმნისა.

ასე ნაკალითად:

შეიქმნა კომპლექსური ბრიგადები. მათ ნოდარ გულორდავა და ვივა განთარბა უძღვევიან (კვანთა“). მოწინავეთა შორის არიან სამშენებლო სამმართველოები, რომლებსაც ვ. ბიჩვი, უ. გოჯიაშვილი და თ. კახიკაძე უძღვევიან (კვანთა“). თავდაუბოლოდ წრთობენ მშენებლთა კომპლექსური ბრიგადები, რომლებსაც სოციალისტური შრომის ვშიტი გრ. კობონელი და ლენინის ორდენისანი გ. ქურციკი უძღვევიან (კვანთა“). ხელმძღვანელობს განმსახურებელი წლის დაეღების შესრულებისათვის გააღებულ შრომებში დაწინაურდნენ ამონიუმის სულდატის, სინთეზის, ამონიუმდოსულდატის და ცანგბადის სამქროები, რომლებსაც ს. პებაშვილი, თ. კარდენახაშვილი, გ. თაქლაშვილი, მ. კალანდაძე უძღვევიან (კვანთა“).

ბრიგადები, საანქროები, სამმართველოები აღნიშნა ჯგუფებს განუკუთვსება, ამიტომ მათთან უნდა გვეკონოდა ხელმძღვანელობენ და არა უძღვებიან, რომლის ხმარება უფრო მართებული ჩანს იმ-

გვიარ კონტექსტებში, როდესაც საქმის, საქმიანობის ნეთაურობაზე, წარმართვაზეა მსჯელობა.

ირევა აგრეთვე ბილვის აღმნიშვნელი წმინების ხმარება. მაგალითად:

მან პირველყოფილი-თემური წყობილების დროინდელი ქვის კროი იარაღი გამოაჩინა მოსწავლეებში („იხ. სკოლაში“).

გამოაჩინას ნაცვლად აჯობებდა უჩვენა.

ან: ხუთი დღის ვახალობაში იხილავენ ქართველი სპორტის მოყვარულები ტანვარჯიშის ამ აღიარებულმა ისტაბელის უბადლო ხელოვნებას („კომ.“).

იხილავენ სიტყვის ნაცვლად აჯობებდა ნახავენ.

ამ ასაკის მოსწავლეთა თვითმწარმოებში ჩმირად ვნახულობთ, როგორ გამოხატოთ ისინი მოსწავლას როლიდან მასწავლებელი ქალის მკრინეტი კაცუცობასა და პრაქსის, დეკორტივება და მოყვე კაბებს... („სტ. და ცხოვრ.“).

თვითმწარმოებში ვნახულობთ — ამ გამოთქმას აჯობებდა თვითმწარმოებთან ვიგებთ.

მარაში ტენტის ქვეშ შიდაციის მუშაკებმა აღმოაჩინეს 4,402 კლოგრამი მინდარიანი („კომ.“).

აღმოჩენა ნიშნავს შიგნებას, ნახვის იმისას, რაც მანამდე ცნობილი არ იყო. ამიტომ ამ წინადადებაში ალბათ აჯობებდა უბრალოდ ნახეს ან იპოვეს.

ქონა და ყოლა სემანტიკურად ერთმანეთისაგან იმით განსხვავდებიან, რომ პირველი რისიმე სიგნის, არასულიერია კლავნილებასზე... ფლობაზე მიუთითებს, ხოლო მეორე — უაბათნე (ვისიმე), სულიერის, ცოცხალი არსების კლავნილებასზე. გამოთქმის შეადგენს გაერცვლებული გამოთქმა მანქანა ჰყავს, რომელშიც ამ წესის მიხედვით მოსილოდნელი იყო მანქანა აქვს გვექონოდა. მანქანა ჰყავს დღეს ნორმალა ქვეული, მაგრამ სხვა დანარჩენ შემთხვევებში უსულოსთან აქვს ეზმარობით, სულიერთან — ჰყავს. წინადადებაში: „წელს სამი შეათე კლასი გვექნება“ („გამარჯვ. დროში“), — გვექნებას ნაცვლად გავყოლება უნდა გვექონოდა, რადგან კლასი მოს-

წაელეებითაა დავომპლექტებული, ამდენად კლასი სულაერის თე-
სებისაა.

თავაზის ფორმა გახლავთ ჩვეულებრივ II პირისადმი პატივის-
ცემის გამოსახატავად იხმარება. მაგალითად, ასეთ წინადადებაში:
„აკუბაში პირველად გახლავართ, თუმცა დიდბანია ცნატრობ-
დი აქ ჩამოსვლას“ („კომ.“). მაგრამ აუცილებელი არ არის მისი ხმა-
რება წინადადებებში, რონლებშიც გამოყვეთილად არ ჩანს თავაზის
ობიექტი. მაგალითად:

ის, რასაც იგი საწარმოს წამღვანი სპეციალიტების ჯგუფთან ერთად ხელ
იწვებდა, პატარა საქმე არ გახლავთ, დიდი სიახლე იყო („კომ.“). კიდევ უფ-
როს სამწუხაროს ის გახლავთ, რომ არცაუ იშეითად თვითონ მასწავლებელი,
ინტელაგენტი, აღწრდელი სკოდაც („ს.გ. და ცხოვრ.“).

ამგვარი ხასიათის დარღვევების შესახებ არაერთხელ აღნიშნუ-
ლა პიპულარულსა თუ სანტენიერო ლიტერატურაში, ხშირად ჩვენს
პრესაშიც: ზოგჯერ უფრო დიფერილემით, სპეციალურად ამა თუ იმ
ზმნის არასწორი ხმარების ვაზო, ზოგჯერაც, — გაკერძა, სხვადასხვა
საკითხთან დაკავშირებით. ზმნათა გამოყენებისას ქართულ პრესაში
დადასტურებული სემანტიკური დარღვევების შემთხვევები მრავა-
ლია და ჩვენი მასალის მთლიანად აღნიშვნა აქ შეუძლებელია, ჩვენ
შეგვცადეთ შედარებით უფრო ტიპობრივი მაგალითები მოგვეუკანა.
რასდენადაც ეს საკითხი სპეციალურადაც შეიძლება დამუშავდეს
(შედგეს არა მხოლოდ ზმნების, არანედ საერთოდ, სემანტიკურად
შეუსამებელი სინტაგმების ლექსიკონი), გინაილულ მასალას აკმა-
რისად ვთვლით საიმისოდ, რათა წარმოდგენა შეგვექმნას სემანტი-
კური დარღვევების შესახებ ზმნათა გამოყენებისას თანამედროვე
ქართული პრესის ცნაში.